ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების

სასამართლოში დაკითხვის მონიტორინგი

სპეციალური ანგარიში

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სასამართლოში დაკითხვის მონიტორინგი (სპეციალური ანგარიში)

©2021, საქართველოს სახალხო დამცველი, „უფლებები საქართველო“, ყველა უფლება დაცულია

ანგარიშის ავტორები:
მარიამ მხატვარი
კარლო ნიკოლეიშვილი
გვანცა ხარატიშვილი
გოგა ხატიაშვილი
სოფიო ჯაფარიძე

სპეციალური ანგარიში მომზადებულია პროექტის, „ძალადობის მსხვერპლი ქალების სამართლიანი სასამართლოს უფლებით უზრუნველყოფა, სასამართლოში მათი დაკითხვის პროცესის მონიტორინგის და შემდგომი ადვოკატირების გზით“, ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“, საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობით.

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს სახალხო დამცველი, არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ და ავტორთა ჯგუფი. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი **5**

მეთოდოლოგია **7**

ძირითადი მიგნებები **10**

თავი I. ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი სრულწლოვანი ქალების დაკითხვის პროცესის შეფასება **14**

1.1. დაზარალებულისათვის საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განმარტება 14

1.1.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი და ეროვნული კანონმდებლობა 14

1.1.2. მონიტორინგის შედეგები 16

1.2. დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მექანიზმები 18

1.2.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი და ეროვნული კანონმდებლობა 18

1.2.2. მონიტორინგის შედეგები 22

1.3. დაზარალებულის მხარდამჭერი მექანიზმები მისი მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მიზნით 26

1.3.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი და ეროვნული კანონმდებლობა 26

1.3.2. მონიტორინგის შედეგები 29

1.4. მოსამართლისა და მხარეების მონაწილეობა დაზარალებულის დაკითხვის პროცესში 32

1.4.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი და ეროვნული კანონმდებლობა 32

1.4.2. მონიტორინგის შედეგები 35

1.5. დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა 45

1.6. სხდომის დაგვიანებით დაწყება 51

თავი II. ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი სრულწლოვანი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვაზე ორიენტირებული სასამართლოს ინფრასტრუქტურა 53

2.1. მოსაცდელი სივრცე 54

2.2. სასამართლოს შენობასა და სხდომის დარბაზში შესასვლელი 56

2.3. დისტანციური დაკითხვის სივრცითი და ტექნიკური ინფრასტრუქტურა 58

2.4. კონფიდენციალურობის დაცვა 59

2.5. სპეციალური სივრცე მცირეწლოვანი ბავშვების დედებისთვის 61

2.6. სასამართლო დარბაზების ინფრასტრუქტურული მოწყობა 62

დასკვნა 63

რეკომენდაციები 65

შესავალი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის უმთავრესი მიზეზი სოციალურ რეალობაში ღრმად ფესვგადგმული სტრუქტურული და სისტემური უთანასწორობა, ქალის საზოგადოებრივი და სოციალური როლისა და ფუნქციის მიმართ სტერეოტიპული და სტიგმატიზებული დამოკიდებულება და სხვა გარემო ფაქტორებია. ამასთანავე, ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი ის მთავარი სოციალური მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებულნი არიან დაიკავონ კაცებთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა.[1]

სისხლის სამართლის კანონმდებლობა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ თავიანთი უფლებების, მათ შორის, მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების რეალიზებისათვის. შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლი ქალების სტიგმატიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ეფექტიანი ზომების გატარება და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის გამოყენება დაკითხვის, მტკიცებულებების შეგროვებისა თუ სისხლის სამართლის გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების განხორციელებისას.[2]

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა: მოახდინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში - სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება; ამ კონვენციასთან ჰარმონიზების მიზნით დაიხვეწა ეროვნული კანონმდებლობა; გაუმჯობესდა ამ კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები. თუმცა, მიუხედავად პროგრესისა, სამართალდამცავ უწყებებს დახმარების თხოვნით კვლავ მცირე რაოდენობის მსხვერპლი ქალი მიმართავს,[3]

[1] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის პრეამბულა.

[2] პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ეროვნული ნაწილი, საქართველო, 37; [https://bit.ly/3tOWR9K; ნანახია: 21.09.21].

[3] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017, UN WOMEN, 2018, 97; [https://cutt.ly/BrdagYw; ნანახია: 21.09.21].

ხოლო ბევრი მათგანი სასამართლოში უარს ამბობს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე.[4]

მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის ერთ-ერთი უმთავრესი ბარიერი სასამართლოში არსებული გარემოა, რომელიც ვერ პასუხობს ძალადობის მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მოთხოვნებს. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ დაკვირვებისა და შესწავლის საგანი დღემდე არ გამხდარა უშუალოდ დაზარალებულთა დაკითხვის დროს არსებული მეორეული ვიქტიმიზაციის რისკები და გამოწვევები. ასევე არ გაანალიზებულა, თუ რამდენად პასუხობს სასამართლოს ინფრასტრუქტურა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის მოთხოვნებს.

შესაბამისად, კვლევის მიზანია, შეისწავლოს, თუ რამდენად გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას ავლენს მართლმსაჯულების სისტემა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალების მიმართ მათი სტიგმატიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დასაცავად.

კვლევა ჩატარდა ერთობლივად, საქართველოს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველოს“ მიერ პროექტის, „ძალადობის მსხვერპლი ქალების სამართლიანი სასამართლოს უფლებით უზრუნველყოფა, სასამართლოში მათი დაკითხვის პროცესის მონიტორინგის და შემდგომი ადვოკატირების გზით“, ფარგლებში. პროექტის მხარდამჭერია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროგრამა, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ.

[4] მხოლოდ ამ მონიტორინგის ფარგლებში, ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის 12 (40%) შემთხვევა გამოვლინდა.

მეთოდოლოგია

კვლევის ძირითადი ობიექტია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შედეგად დაზარალებული ქალების სასამართლოში დაკითხვის პროცესის შეფასება. კერძოდ, ერთი მხრივ, ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალები იკითხებიან თუ არა ისეთ ვითარებაში, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულთა მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას და, მეორე მხრივ, არსებობს თუ არა სასამართლოში შესაფერისი გარემო და ინფრასტრუქტურა და, მთლიანობაში, ხომ არ იქმნება ბარიერები მსხვერპლი ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის კუთხით. ანგარიში ეფუძნება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების გაეროს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მიერ დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზს.

კვლევა ეყრდნობა თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში ჩატარებული სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს. სახალხო დამცველის რწმუნებულები ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალების დაკითხვის შესაფასებლად, თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში დაესწრნენ 30 სისხლის სამართლის საქმეს.[5] საქმეთა რაოდენობის, დაკითხვის ჩატარების სიხშირისა და ინტენსივობის გათვალისწინებით, რუსთავის სასამართლოში მონიტორინგი განხორციელდა 10 საქმეზე, ხოლო თბილისის სასამართლოში - 20 საქმეზე. მონიტორინგი განხორციელდა 2021 წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთა კვალიფიკაციაც მოიცავდა ოჯახში ძალადობასა[6] და ოჯახურ დანაშაულებს[7] და დაზარალებული იყო სრულწლოვანი ქალი. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები ესწრებოდნენ მხოლოდ დაზარალებულის დაკითხვის ეტაპს.

თავდაპირველად, მეთოდოლოგია თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებიდან ზემოაღნიშნულ საქმეებზე დაზარალებულის დაკითხვის სხდომების განრიგის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვასა და შემთხვევითი შერჩევის

[5] 30 საქმიდან 21 შემთხვევაში სახალხო დამცველის რწმუნებულები სხდომათა დარბაზში აკვირდებოდნენ დაზარალებულის დაკითხვის მიმდინარეობას, 3 შემთხვევაში ონლაინ ჩაერთვნენ საქმის დისტანციურად არსებით განხილვაში, ხოლო 6 შემთხვევაში გამოთხოვილი იყო შესაბამისი საოქმო აუდიოჩანაწერი.

[6] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 მუხლი.

[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 - 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133^1-ე, 133^2-ე, 137-ე–139-ე, 143-ე, 144-ე–144^3, 149-ე–151^1-ე, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე–255^1-ე, 381^1-ე და 381^2-ე მუხლები.

პრინციპით პროცესებზე დასწრებას/დაკვირვებას ითვალისწინებდა. რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული სრულყოფილი ინფორმაციის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა დაზარალებულის დაკითხვის სხდომის თარიღისა და დროის დადგენა. თუმცა თბილისის საქალაქო სასამართლომ ვერ უზრუნველყო დაკითხვის სხდომების განრიგის შესახებ ინფორმაციის მოწოდება იმ საფუძვლით, რომ ამ მონაცემებს არ ამუშავებდა.[8]

ამ ფაქტის გამო თავდაპირველი მეთოდოლოგიის ნაწილი შეიცვალა და საქართველოს სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს იმ მოსამართლეების შესახებ, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებს არსებითად განიხილავდნენ.[9] შემდგომში სახალხო დამცველის რწმუნებულები ყოველდღიურ რეჟიმში იღებდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების თანაშემწეებისგან განახლებულ ინფორმაციას დაზარალებულის დაკითხვის სხდომის თარიღებთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები მონიტორინგის ჩასატარებლად სასამართლოში გამოცხადდნენ (ან დისტანციურად ჩაერთვნენ) ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ყველა იმ ქალის დაკითხვის პროცესზე, რომლის შესახებაც სასამართლოსგან წინასწარ ჰქონდათ მოწოდებული ინფორმაცია. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოგვიანებით მოიპოვეს ინფორმაცია უკვე ჩატარებული დაკითხვის სხდომების შესახებ, საოქმო აუდიოჩანაწერები გამოითხოვეს. დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის აღწერა-დოკუმენტირება წინასწარ შემუშავებული კითხვარების მეშვეობით განხორციელდა.

დაზარალებულის დაკითხვის პროცესზე მონიტორინგის ჩატარების გარდა, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე შეისწავლეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებისა და თელავის რაიონული სასამართლოს ინფრასტრუქტურა და გარემო. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ცალკეულ პრაქტიკულ საკითხებზე ინფორმაცია ასევე შეგროვდა უშუალოდ ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის

[8] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის №10369 წერილი.
[9] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 14 მაისის №08-5/4591 წერილი; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 24 მაისის №14784 წერილი.

მსხვერპლი ქალების დაკითხვის სხდომაზე სასამართლოს შენობაში გამოცხადებული რწმუნებულების მიერ.[10]

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ტენდენციები, ასევე, ცალკეული შემთხვევები, რომლებიც ნაკლოვან და არსებულ სტანდარტებთან შეუსაბამო პრაქტიკად შეფასდა. ამის საპასუხოდ შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში ასახვა ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის გაზრდას.

[10] მაგალითად, სასამართლოში დაკითხვის პროცესის შესასწავლად მისული მონიტორი, ასევე აკვირდებოდა დაზარალებულის სასამართლოს შენობასა თუ სხდომის დარბაზში შესვლას, დაკითხვის დაწყებამდე მოცდის პერიოდს, კონფიდენციალურობის დაცვას და სხვა გარემოებებს.

ძირითადი მიგნებები

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- მოსამართლეები დაზარალებულებს უმეტესად არასრულად განუმარტავდნენ უფლება-მოვალეობებს[11]
- ძირითადად, მოსამართლეები დაზარალებულებს უფლება-მოვალეობებს არ განუმარტავდნენ მათთვის გასაგები, არასამართლებრივი ენით. უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა
- მოსამართლეები დაზარალებულს, უმეტეს შემთხვევაში, არ აწვდიდნენ ინფორმაციას სასამართლო პროცესის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის, ბრალდებულის დასწრების/მონაწილეობის გარეშე დაკითხვის ჩატარების, დაკითხვის დისტანციურად ჩატარების, დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ[12]
- მოსამართლეები დაზარალებულებს არ აწვდიდნენ ინფორმაციას ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების) და იქ არსებული მომსახურებების/სერვისების თაობაზე
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლი ქალის დაშინების, მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლისა და მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის მიზნით დაკითხვის დისტანციურად ჩატარების, ან დაკითხვის დროს ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესაძლებლობას
- სტამბოლის კონვენციაზე დაყრდნობით, ბრალდების მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა და არც მოსამართლეს მიუღია საკუთარი ინიციატივით გადაწყვეტილება ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანის თაობაზე იმ ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც გამოიკვეთა ამის საჭიროება, მსხვერპლის მძიმე ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე. მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ,

[11] მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა სრულად განმარტების მხოლოდ 3 (10%) შემთხვევა.

[12] სხვადასხვა მოსამართლემ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მხოლოდ 4 (13%) შემთხვევაში განუმარტა სხდომის დახურვის, 3 (10%) შემთხვევაში - ჩვენების ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე მიცემის, 2 (7%) შემთხვევაში - დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ბრალდების მხარის მხრიდან სხდომის დახურვის ან ჩვენების ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე მიცემის საკითხებთან დაკავშირებით შუამდგომლობა დაყენებული არ ყოფილა.

მხოლოდ ერთ საქმეში. ამავე სხდომაზე, მოსამართლემ, ასევე საკუთარი ინიციატივით, დაზარალებულთან იმსჯელა სხდომის დახურვის შესაძლებლობაზე

- საქართველოს კანონმდებლობა სისხლის სამართლის პროცესში ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი სრულწლოვანი ქალის უფასო იურიდიული დახმარების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს არცერთ შემთხვევაში, რაც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს. სავარაუდოდ, ამ მიზეზით დაზარალებულის სამართლებრივი მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ ერთი დაკითხვის დროს, კერძო ადვოკატის მიერ. ამ შემთხვევაშიც, ადვოკატი დამსწრეებისათვის განკუთვნილ ადგილას იჯდა და დაზარალებულს მასთან კომუნიკაციის შესაძლებლობა არ ჰქონია
- მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები უმეტესად არ ესწრებოდნენ/მონაწილეობდნენ ძალადობის მსხვერპლი ქალების დაკითხვის პროცესში, მათ შორის, არც მაშინ, როდესაც დაზარალებული უარს ამბობდა ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე ან იმყოფებოდა მძიმე ფსიქოემოციურ მდგომარეობაში[13]
- დაზარალებულს უმეტესად არ სთავაზობდნენ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობის შესაძლებლობას[14]
- მოსამართლეები და პროკურორები გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენდნენ დაზარალებულის მიმართ, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან გამოვლინდა არაეთიკური ან ირონიული დამოკიდებულება, ასევე, მკაცრი და ხმამაღალი ტონით მიმართვის ფაქტი
- ხშირ შემთხვევაში, ბრალდებულები უშუალოდ მონაწილეობდნენ დაკითხვის პროცესში. კერძოდ, სვამდნენ კითხვებს ან/და გამოხატავდნენ საკუთარ პოზიციას, რაც ხშირად იყო დაზარალებულისთვის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი. რიგ შემთხვევებში, დაზარალებულისთვის კითხვების დასმის ნაცვლად, ბრალდებული აკეთებდა შეფასებას და ცდილობდა გაემართლებინა

[13] მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სასამართლო პროცესზე დასწრების მხოლოდ ერთი ფაქტი გამოვლინდა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ის დამსწრეებისთვის განკუთვნილ ადგილას, დაზარალებულისგან მოშორებით იჯდა და არ ჰქონდა მასთან ახლო კომუნიკაციის შესაძლებლობა. შეიძლება ითქვას, რომ კოორდინატორის პროცესში მონაწილეობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

[14] მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ მსხვერპლს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა შესთავაზა.

საკუთარი ქმედება ან/და მომხდარში დაზარალებული დაედანაშაულებინა. ცალკეულ სხდომებზე გამოვლინდა ბრალდებულის დაზარალებულთან ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის დამყარების შემთხვევა. ბრალდებულისა და დაზარალებულის დაპირისპირების შემთხვევებზე, ბრალდების მხარესა და მოსამართლეს, ხშირად, არ მიუღიათ ქმედითი ზომები და, შესაბამისად, ბრალდებულის ქცევა რეაგირების მიღმა დარჩენილა

- ცალკეული დაკითხვების დროს, ბრალდებულის ადვოკატები დაზარალებულებს უსვამდნენ შეკითხვებს, რომლებიც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს არ ეხებოდა, ასევე, გამოვლინდა ცალკეული შემთხვევები, როდესაც კითხვები/შეფასებები/რეპლიკები მიმართული იყო დაზარალებულის დისკრედიტაციისკენ, ატარებდა შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ ხასიათს
- ცალკეული დაკითხვების დროს,[15] გამოვლინდა ბრალდებულის ადვოკატების მიერ დამადანაშაულებელი შინაარსის შეკითხვების დასმის ფაქტები. ამ შეკითხვების უმეტესი ნაწილი მიემართებოდა დაზარალებულის დადანაშაულების მცდელობას, ძალადობის მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეუტყობინებლობის თაობაზე
- გამოვლინდა დაზარალებულების მიერ ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ტენდენცია.[16] ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეები ძირითადად უარის თქმის მოტივს არკვევდნენ. მათ შორის, ამგვარი გადაწყვეტილება ხომ არ იყო დაშინების ან/და რაიმე ზემოქმედების შედეგი. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლეთა მიერ დაზარალებულისათვის დასმული კითხვები შაბლონური იყო და ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესაძლო მიზეზების გამორკვევას ფორმალური ხასიათი ჰქონდა
- სასამართლო სხდომები უმეტესად დაგვიანებით იწყებოდა, რაც ზრდიდა დაზარალებულსა და ბრალდებულს/მის ნათესავებს შორის არასასურველი კომუნიკაციის გზით მსხვერპლზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების, მეორეული ვიქტიმიზაციისა და მართლმსაჯულებაში მონაწილეობაზე უარის თქმის რისკებს
- სასამართლოების ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის მორგებული ძალადობის მსხვერპლი ქალების საჭიროებებზე და ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. სასამართლოებში არ არის უზრუნველყოფილი გარემო, სადაც შესაძლებელი

[15] 8 სასამართლო სხდომაზე მონიტორინგის შედეგად.
[16] 30 საქმიდან 12 შემთხვევაში (40%).

იქნება ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის/მისი ნათესავის/ახლობლის/მეგობრის ფიზიკური თუ ვერბალური კომუნიკაციის თავიდან არიდება. კერძოდ:

- სასამართლოებში არ არის მოწყობილი სპეციალური იზოლირებული მოსაცდელი სივრცეები ძალადობრივი დანაშაულის დაზარალებულებისთვის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალებისთვის. ხოლო საჭიროების შემთხვევაში, სხვა სივრცეების ამ მიზნით გამოყენება ბუნდოვანია, პრაქტიკაში მსგავსი პრეცედენტების სიმცირის გამო;
- არ არსებობს სასამართლოს შენობასა და სხდომის დარბაზში ცალკე იზოლირებული შესავლელი, რომლითაც ასევე ისარგებლებენ ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლები. ხოლო არსებული ალტერნატიული შესასვლელები (მაგალითად, სასამართლოს აპარატის თანამშრომლებისათვის ან მოსამართლეებისათვის განკუთვნილი შესასვლელი) პრაქტიკაში ხშირად არ გამოიყენება;
- უზრუნველყოფილი არ არის ცალკე, იზოლირებული სივრცე დაკითხვის დისტანციურად საწარმოებლად, ხოლო რიგ შემთხვევებში, პროცესის დისტანციური ფორმით ჩატარებისას, გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზები[17]
- სასამართლოებში არ არსებობს სპეციალური სივრცე, სადაც მცირეწლოვანი ბავშვის დედები თავისუფლად შეძლებენ შვილების გამოკვებას, გამოცვლას ან/და დატოვებას დაკითხვის დასრულებამდე.

[17] გამონაკლისია რუსთავის საქალაქო სასამართლო, სადაც გამოყოფილია მოწმის დისტანციურად დაკითხვის სივრცე.

თავი I. ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი სრულწლოვანი ქალების დაკითხვის პროცესის შეფასება

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის თანახმად, იმისათვის, რათა მსხვერპლებმა შეძლებისდაგვარად საუკეთესო მხარდაჭერა მიიღონ, მათი უფლებები, საჭიროებები და უსაფრთხოება ნებისმიერი ინტერვენციის წინა ხაზზე უნდა მოექცეს. ეს გულისხმობს რისკის ქვეშ მყოფი ქალებისთვის დაცვისა და მხარდაჭერის შეთავაზებას, როდესაც მათ ეს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ, მათ მიმართ მგრძნობიარე და პატივისცემაზე დამყარებულ მოპყრობას და მათ გაძლიერებას, რათა შეძლონ ისეთი ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ყველაზე უკეთესად ასახავს მათ ინტერესებს. მონიტორინგის შედეგების შეფასებისას სწორედ ამ გარემობებზე გამახვილდა ყურადღება.

1.1. დაზარალებულისათვის საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განმარტება

1.1.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი და ეროვნული კანონმდებლობა

ოჯახში ძალადობის ან/და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლს ხშირად არ აქვს ინფორმაცია საკუთარი სისხლის სამართლის საპროცესო უფლებების შესახებ. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალები სასამართლო პროცესზე ხშირ შემთხვევაში დაბნეულები არიან და დიდ სტრესს განიცდიან, მნიშვნელოვანია მათთვის საპროცესო უფლებებისა და ვალდებულებების გასაგები, არაიურიდიული ენით განმარტება.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების[18] მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა ძალადობის მსხვერპლის უფლებებისა და ინტერესების, ასევე მისი, როგორც მოწმის, განსაკუთრებული საჭიროებების დასაცავად, მათ შორის, სასამართლო პროცესის ყველა სტადიაზე. სტამბოლის კონვენცია ასევე მიუთითებს, რომ დაზარალებულს უნდა განემარტოს

[18] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი.

კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები და მიეწოდოს ინფორმაცია ბრალდების არსის, სასამართლო პროცესის ზოგადი მიმდინარეობის და ამ პროცესში მისი როლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის კონვენცია ამის შესახებ პირდაპირ არ უთითებს, მხარეებმა ასევე უნდა უზრუნველყონ ამ ინფორმაციის მსხვერპლისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება.[19] გარდა ამისა, რეკომენდებული არ არის დაზარალებულისთვის უფლებების საკანონმდებლო ჩამონათვალის მხოლოდ წაკითხვა და უფრო ეფექტიანია დაზარალებულთან დიალოგის რეჟიმში ურთიერთობა, რომლის დროსაც მსხვერპლს კითხვების დასმის შესაძლებლობა ეძლევა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საქმეში, *E.B. v. ROMANIA,* განმარტავს, რომ სტამბოლის კონვენცია ხელშემკვრელი მხარეებისგან მოითხოვს ყველა საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღებას მსხვერპლის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას - **მიაწოდოს მსხვერპლს ინფორმაცია უფლებების,** ისევე როგორც სახელმწიფოში არსებული დაცვისა და დახმარების მექანიზმების შესახებ, რათა უზრუნველყოს დაზარალებულის უფლებებისა და მისი ინტერესების სათანადოდ დაცვა და გათვალისწინება.[20]

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, დაზარალებული ინფორმირებული უნდა იყოს მისი საქმის დეტალების, მათ შორის, სავარაუდო დამნაშავისათვის წარდგენილი ბრალდების არსისა და საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.[21] დაზარალებულს ასევე აქვს უფლება მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია კომპეტენტური ორგანოს წინაშე პირველად წარდგენის დროს.[22]

ეროვნულ დონეზე დაზარალებულის უფლებებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს,[23] რომელიც ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას - მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების

[19] Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Isatambul, 11 May 2011, para. 286; [https://rm.coe.int/16800d383a; ნანახია: 21.09.21].

[20] E.B. v. Romania, European Court of Human Rights, Application no. 49089/10, 19 March 2019, para. 65. ამ საქმეში განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სისხლის სამართალწარმოება, რომელიც ეხებოდა მასზე სექსუალურ ძალადობას, არ იყო ეფექტიანი და იგი, როგორც გაუპატიურების მსხვერპლი, დაექვემდებარა მატრავმირებელ გამოცდილებას, რითაც დაირღვა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. განმცხადებელი ასევე აპელირებდა იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფომ არ დაიცვა იგი, როგორც მსხვერპლი და დაუქვემდებარა დამატებით ტანჯვას, რადგან არ განუმარტა საპროცესო უფლებები და არ მისცა შესაძლებლობა იურიდიული დახმარებით ესარგებლა.

[21] Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council, Minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, 25 October 2012, article 6; [https://cutt.ly/aRdgQ5J; ნანახია: 21.09.21].

[22] იგივე, მუხლი 4.

[23] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი.

განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე; საფრთხის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენოს დაცვის სპეციალური ღონისძიება; სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოითხოვოს სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვა; მიიღოს დეტალური ინფორმაცია მისი უფლება-მოვალეობების შესახებ და სხვა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სასამართლოში ჩვენების მიცემისას, დაზარალებული მოწმის სტატუსით სარგებლობს და მას მოწმის ყველა უფლება და მოვალეობა ენიჭება,[24] რაც გულისხმობს მოწმის უფლებას - იცოდეს რა საქმესთან დაკავშირებით გამოიძახეს, არ მისცეს ჩვენება საკუთარი ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით და სხვა.

საქართველოს კანონმდებლობა[25] მოწმის დაკითხვის ზოგად წესს განსაზღვრავს და მიუთითებს, რომ დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მოწმის ვინაობას, განუმარტავს მას უფლება-მოვალეობებს და ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ აფრთხილებს. ასევე განუმარტავს საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას.

1.1.2. მონიტორინგის შედეგები

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი სრულწლოვანი ქალების დაკითხვის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ დაზარალებულებს უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია უმეტესად არასრულად მიეწოდებათ.[26] ასევე საგულისხმოა, რომ ერთეული გამონაკლისების გარდა,[27] დაზარალებულს არ მიეწოდება ინფორმაცია, თუ რა საქმეზეა გამოძახებული და რაში ედება ბრალი სავარაუდო დამნაშავეს. მოსამართლეები დაზარალებულებს ძირითადად ეკითხებიან, იციან თუ არა სასამართლოში რა საქმესთან დაკავშირებით არიან

[24] იგივე, 47-ე და 56-ე მუხლების პირველი ნაწილი.
[25] იგივე, 115-ე მუხლი.
[26] გამოვლინდა მხოლოდ სამი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დაზარალებულს უფლებები შედარებით სრულყოფილად განუმარტა. ასევე ნიშანდობლივია, რომ ყველა შემთხვევაში მოსამართლე დაზარალებულს განუმარტავს უფლებას, რომ არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება საკუთარი ახლო ნათესავის წინააღმდეგ.
[27] ამ შემთხვევაში მოსამართლემ დაზარალებულს წაუკითხა ბრალდების ფორმულირება და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმის დისპოზიცია და სანქცია, რომლითაც იყო დაკვალიფიცირებული ქმედება ბრალდების მხარის მიერ.

გამოძახებულები და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ აღარ განმარტავენ საქმის/ბრალდების შინაარსს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოსამართლე დაზარალებულს ინფორმაციას უმეტესად აწვდის საკანონმდებლო, ტექნიკური ენით, რაც შეიძლება დაზარალებულისთვის ძნელად აღსაქმელი და გასაგები იყოს. ერთ-ერთ საქმეში, მოსამართლემ მონოტონურად ჩაიკითხა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებების ჩამონათვალი და დაზარალებული ისე გააფრთხილა ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რომ მოსმენილი არ ჰქონდა დაზარალებულის პოზიცია, სურდა თუ არა ჩვენების მიცემა საკუთარი ახლო ნათესავის წინააღმდეგ.[28]

უფლებების არასრულად განმარტების საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი

<u>მოსამართლე:</u> *„სასამართლო პროცესზე იკითხებით დაზარალებულის სტატუსით გ. შ.-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე. უფლება გაქვთ, არ მისცეთ თქვენი ან თქვენი ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება და მეუღლე ითვლება ახლო ნათესავად. სხვა შემთხვევაში ჩვენებაზე უარის თქმისთვის ან ცრუ ჩვენების მიცემისთვის გაფრთხილებთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. უნდა დაიფიცოთ, რომ მთელი შეგნებით იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ.“*

<u>დაზარალებული:</u> *„დიახ, ვფიცავ!“*

<u>მოსამართლე:</u> *„გვითხარით აბა, ვინ არის თქვენთვის ბრალდებული?“*

<u>დაზარალებული:</u> *„მეუღლე.“*

<u>მოსამართლე:</u> *„გსურთ სასამართლოს მისცეთ ჩვენება?“*

<u>დაზარალებული:</u> *„დიახ.“*

<u>მოსამართლე:</u> *„კი ბატონო. უპასუხეთ ჯერ პროკურორის, შემდეგ ბრალდებულის მიერ დასმულ კითხვებს.“*[29]

[28] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 4 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[29] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/606-21.

1.2. დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მექანიზმები

1.2.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი და ეროვნული კანონმდებლობა

დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვა სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ძალადობის მსხვერპლთა, ასევე, მათი ოჯახების დაცვა დაშინების, შურისძიებისა და მეორეული ვიქტიმიზაციისგან.[30] მსხვერპლთა საჭიროებებზე მორგებული მართლმსაჯულება ისე უნდა განხორციელდეს, რომ ამ პროცესში დაზარალებულის უხერხულობის მინიმალიზება, მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილი იყოს.[31]

სახელმწიფოებმა საჭიროებისამებრ უნდა გადასინჯონ, შეაფასონ და განაახლონ თავიანთი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და გაითვალისწინონ შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები, რათა ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა შეძლონ სისხლის სამართლის პროცესზე ჩვენების მიცემა თავიანთი უსაფრთხოების, პირადი ცხოვრების პატივისცემის, იდენტობისა და ღირსების დაცვითა და სამართალწარმოების პროცესში მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებით.[32]

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა რეკომენდაციით მიმართა წევრ სახელმწიფოებს, დაზარალებულის პირადი ცხოვრების, უსაფრთხოებისა და სხვა უფლებების დაცვის მიზნით, უზრუნველყონ სასამართლო სხდომების სრულად ან ნაწილობრივ დახურვა, ჩვენების დისტანციურად ან სხვა საკომუნიკაციო ტექნიკური საშუალების ან სხვა ვინაობის დამცავი საშუალების გამოყენებით მიცემა.[33]

---

[30] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[31] UN Declaration for Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Adopted by General Assembly resolution 40/34 of 29 November 1985, para. 6 (d); ასევე იხილეთ: Council of Europe, Recommendation Rec(2002)5 of the Committee of Ministers to member states on the protection of women against violence, para 44.

[32] Resolution adopted by the General Assembly, Strengthening crime prevention and criminal justice responses to violence against women, A/RES/65/228, 31 March 2011, Annex, para. 15 (c). [https://cutt.ly/XRdkeqN; ნანახია: 21.09.21].

[33] Committee on the Elimination of Discrimination against women, General Recommendation on Women's Access to Justice, CEDAW/C/GC/33, 23 July 2015, para. 18 (f); [https://cutt.ly/ORdjN3L; ნანახია: 21.09.21].

სტამბოლის კონვენცია მიუთითებს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მსხვერპლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის დასაცავად.[34] კონვენცია, ასევე განსაზღვრავს მსხვერპლის უფლებას სასამართლო დარბაზში ჩვენება მისცეს დაუსწრებლად ან, ყოველ შემთხვევაში, სავარაუდო დამნაშავე პირის არყოფნის დროს, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.[35] ასევე, დაზარალებულზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მაქსიმალურად შესამცირებლად, რასაც იწვევს დამნაშავესთან ერთ დარბაზში ყოფნა, შესაძლებელია მან ჩვენება მისცეს მაშინ, როდესაც ბრალდებული სასამართლო დარბაზში არ იქნება.[36]

საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული დაცვითი ზომებით ეფექტიანად სარგებლობისთვის, ასევე შესაძლებელია დაკითხვის დისტანციურად წარმოება. ზოგიერთი სასამართლო სისტემა დაზარალებულს უფლებას აძლევს, სასამართლოს წინაშე წარდგეს ვიდეოკონფერენციის საშუალებით. ხოლო დაზარალებულზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მაქსიმალურად შესამცირებლად, რაც გამოწვეულია დამნაშავესთან ვიდეოკონფერენციის მეშვეობით კონტაქტში შესვლით, შესაძლებელია ორივე მათგანის მხედველობის არის ისე შეზღუდვა, რომ დაზარალებულმა ვერ დაინახოს დამნაშავე ან/და პირიქით.[37] ასევე, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა რეკომენდაციით მიმართა წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ჩვენების დისტანციურად ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მიცემა, თუ ეს აუცილებელია ქალების პირადი ცხოვრების, უსაფრთხოებისა და სხვათა უფლებების დასაცავად.[38]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე, *Mraović v. Croatia*[39], განმარტა, რომ სასამართლო პროცესის ნაწილობრივ ან მთლიანად დახურვა სისხლის სამართლის ისეთ სერიოზულ დანაშაულთან დაკავშირებით, როგორიცაა გაუპატიურება, შეიძლება აუცილებელი იყოს მსხვერპლის პირადი ცხოვრების, განსაკუთრებით, მისი იდენტობის, პიროვნული ხელშეუხებლობისა და ღირსების,

[34] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი.
[35] იგივე, „ი“ ქვეპუნქტი.
[36] Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Isatambul, 11 May 2011, para. 292; [https://rm.coe.int/16800d383a; ნანახია: 21.09.21].
[37] იგივე.
[38] Committee on the Elimination of Discrimination against women, General Recommendation on Women's Access to Justice, CEDAW/C/GC/33, 23 July 2015, para. 18 (f); [https://cutt.ly/ORdjN3L; ნანახია: 21.09.21].
[39] Mraović v. Croatia, European Court of Human Rights, Application no. 30373/13, 14 May 2020.

ასევე, მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად.[40] სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მართლმსაჯულების სისტემა ისე უნდა ფუნქციონირებდეს, რომ, ერთი მხრივ, არ გამძაფრდეს მსხვერპლის ტანჯვა და, შესაბამისად, არ მოხდეს მისი დემოტივირება, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადოდ უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულის უფლება, მათ შორის, მის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის საჯაროობაზე.[41]

ამგვარად, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები პირდაპირ ან ირიბად მიუთითებენ დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა სასამართლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ დახურვა, ბრალდებულის დროებით სასამართლო დარბაზიდან გაყვანა, დაკითხვის დისტანციურად წარმოება და დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება.

ეროვნული კანონმდებლობის დონეზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულია სხდომის საჯაროობის და ზეპირობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად.[42] თუმცა მხარის შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით დასაშვებია მისი დახურვა განსაკუთრებულ შემთხვევებში, მათ შორის, ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დასაცავად.[43]

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თუ დაზარალებულს ეშინია დამნაშავესთან შეხვედრის და უსაფრთხოების კუთხითაც თავს იჩენს გარკვეული რისკები, შესაძლებელია, ჩვენების მიცემის დროს ბრალდებული გაიყვანონ სასამართლო დარბაზიდან ან სხვაგვარად აირიდონ მათი დაპირისპირება. სტამბოლის კონვენცია ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის დარეგულირებას „ქვეყნის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად“ ითვალისწინებს. თუმცა საქართველოს კანონმდებლობაში არ გვხვდება კონკრეტული მითითება სრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვისას, მისი მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად, ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან

[40] იგივე, პარა. 49.

[41] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, დანაშაულის სიმძიმის, ხასიათის, ასევე, მსხვერპლის ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის სახელმწიფოს ვალდებულების გათვალისწინებით, სასამართლო სხდომის მხოლოდ ნაწილობრივ დახურვა არ უზრუნველყოფდა ამ ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლო სხდომის სრულ დახურვაზე, არ იყო შეუსაბამო საქმის საჯაროდ მოსმენაზე ბრალდებულის უფლებასთან.

[42] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი.

[43] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება.

გაყვანის ან/და სხვა ალტერნატიული დაცვის ზომის გამოყენების თაობაზე,[44] რაც საკანონმდებლო ხარვეზად შეიძლება შეფასდეს. მნიშვნელოვანია, აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამართლემ უშუალოდ სტამბოლის კონვენციის საფუძველზე იმოქმედოს და მიიღოს გადაწყვეტილება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოწმის დისტანციური დაკითხვის წესს ითვალისწინებს.[45] თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ დისტანციურ დაკითხვას ეროვნული კანონმდებლობა ზოგადად განსაზღვრავს[46] და კოდექსში არ მოიძებნება სპეციალური ნორმა, რომელიც დაკითხვის დისტანციური წესით ჩატარებას დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მიზნით არეგულირებს.[47]

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პროცესის მონაწილე პირებისათვის გათვალისწინებულია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.[48] დაცვის სპეციალური ღონისძიება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ: საქმის საჯარო განხილვა, თავისი ბუნებით, არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას; პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მისი მონაწილეობის გასაჯაროებით, მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას; პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე.[49]

---

[44] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, მოწმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მოწმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება.

[45] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლი.

[46] ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.

[47] აღსანიშნავია, რომ პანდემიის გათვალისწინებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდამავალ და დასკვნით დებულებებს დაემატა დროებითი წესი, რომლის თანახმადაც, 2022 წლის 1 იანვრამდე პანდემიის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის არსებობისას, ცალკეულ შემთხვევებში, სასამართლო სხდომა სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეიძლება დისტანციურად გაიმართოს, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

[48] ამის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის, მე-2 ნაწილი.

[49] იგივე, 67-ე მუხლი.

1.2.2. მონიტორინგის შედეგები

სასამართლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ დახურვა

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები დაკითხვის დაწყებამდე, უმეტეს შემთხვევაში, დაზარალებულს არ აწვდიან ინფორმაციას სასამართლო პროცესის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესაძლებლობის შესახებ.[50] ამასთანავე, ასევე არ ყოფილა შუამდგომლობა სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის მოთხოვნის თაობაზე. თუმცა, ერთ შემთხვევაში, მოსამართლის ინიციატივით, ჯერ ბრალდებული გაიყვანეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, ხოლო შემდგომ იმსჯელეს სხდომის დახურვის შესახებ.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია შესაბამისი მაგალითი

სასამართლო დარბაზში დაზარალებული შემოვიდა სხდომის დაწყებამდე და დაცვის მხარის უკან, მოქალაქეებისათვის განკუთვნილი ფლიგელის წინა სკამზე დაჯდა. დაზარალებულს აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა და მალევე გავიდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. მას თან გაჰყვა მანდატური, რომელმაც უკან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ დაზარალებული ნერვიულობდა და სიტყვებს ვერ ალაგებდა. ამის შემდეგ დაზარალებულთან სასაუბროდ პროკურორი გავიდა. დარბაზში დაბრუნებულმა პროკურორმა ასევე აღნიშნა, რომ დაზარალებული ცუდად იყო და არ შეეძლო საუბარი. ბოლოს დარბაზში თავად დაზარალებული დაბრუნდა, თქვა, რომ ძალიან ცუდად იყო და კვლავ გასვლას აპირებდა, თუმცა მოსამართლემ შეაჩერა.

<u>**დაზარალებული:**</u> *„დიდი ხანი არ მინახავს და ვინერვიულე. არ მეგონა, რომ ბევრი ხალხი იქნებოდა“.* [51]

<u>**მოსამართლე:**</u> *„უფრო თამამი უნდა იყოთ, ემოციებს არ აჰყვეთ არასოდეს. თუ თქვენთვის ემოციურად რთული არის, შეგვიძლია პროცესი ბრალდებულის გარეშე ჩავატაროთ ან სხდომა დავხუროთ“.*

დაზარალებული სხდომის დახურვას დაეთანხმა. ამის შემდეგ მოსამართლეს ამ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია, ისე გადადო განხილვა.[52]

---

[50] ამ მხრივ, გამოიკვეთა 4 საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს განუმარტა კანონმდებლობით გათვალისწინებული ამ დამცავი მექანიზმის შესახებ.

[51] სავარაუდოდ, დაზარალებულმა ბევრ ხალხში იგულისხმა სასამართლო სხდომაზე დამსწრე ორი მონიტორი.

[52] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 1 ივნისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

ბრალდებულის დროებით გაყვანა სასამართლო სხდომის დარბაზიდან

დაკითხვის დაწყებამდე დაზარალებულს, როგორც წესი, არ მიეწოდება ინფორმაცია ბრალდებულის დასწრების/მონაწილეობის გარეშე დაკითხვის შესახებ, რაც შეიძლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კონკრეტული ჩანაწერის არარსებობით იყოს განპირობებული.[53] მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ ბრალდების მხარეს ერთხელაც არ დაუყენებია შუამდგომლობა ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანისა და დაზარალებულთან მისი კომუნიკაციის თავიდან აცილების შესახებ, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დაზარალებული უარს ამბობდა ჩვენების მიცემაზე.[54] მონიტორინგის დროს არც დაზარალებულს გამოუთქვამს მსგავსი მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დროს, ორ პროცესზე, დაზარალებულის დაკითხვისას განსაკუთრებულად გამოიკვეთა ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის საჭიროება, ვინაიდან დანაშაულის მსხვერპლი მძიმე ემოციურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და არ სურდა ბრალდებულის სიახლოვეს ყოფნა. მიუხედავად ამისა, მოსამართლეს ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

> კაცს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. კერძოდ, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა კაცმა, მკლავებში მოკიდა ხელი მეუღლეს, შეაჯანჯღარა და კედელზე მიახეთქა. რამდენიმე თვის შემდეგ ფიზიკური ძალადობა კვლავ განმეორდა, რასაც თან ახლდა სიცოცხლის მოსპობის მუქარა. სხდომის მიმდინარეობის დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მეუღლეების მრავალწლიანი თანაცხოვრების განმავლობაში, კაცის მიერ

[53] მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა მხოლოდ 3 შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დაზარალებულს შესთავაზა/განუმარტა, რომ უფლება ჰქონდა ჩვენება მიეცა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე. ხოლო აქედან ერთ შემთხვევაში, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის თაობაზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში, ბრალდებული სასამართლო სხდომას ესწრებოდა დისტანციურად, პენიტენციური დაწესებულებიდან და მოსამართლემ მაინც შესთავაზა დაზარალებულს ჩვენების მიცემა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე, რაზეც დაზარალებულმა უარი განაცხადა.

[54] აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში დღის წესრიგში ვერ დადგებოდა ამგვარი შუამდგომლობის დაყენება, რადგან ბრალდებული სხდომის დარბაზიდან იყო გაძევებული.

ალკოჰოლური ნივთიერების მიღება და მსგავსი ქმედებების განხორციელება ძალიან ხშირი იყო.

დაკითხვის დაწყებამდე პროკურორმა მოახსენა მოსამართლეს, რომ დაზარალებულის ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ იყო მიზანშეწონილი ბრალდებულთან მისი სიახლოვე და სთხოვა, დაზარალებული პროკურორისთვის განკუთვნილ ადგილას დამჯდარიყო, ხოლო თავად ტრიბუნასთან დადგებოდა და იქიდან აწარმოებდა დაკითხვას.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ პროკურორის თხოვნა დააკმაყოფილა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ზომა ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის მიმართ შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მიმართვების გასანეიტრალებლად, რამაც გაზარდა დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკები. დაკითხვის განმავლობაში ბრალდებული ხელებს შლიდა და ხმადაბლა, თუმცა დამსწრეთათვის გასაგებ ტონალობაზე მატრავმირებელ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს წარმოთქვამდა: *„ნახე რა“, „ხედავ რეებს ლაპარაკობს“, „დამპალი“* და ა.შ.[55]

*****

ერთ-ერთ სხდომაზე განიხილებოდა კაცის მიერ მეუღლის დედის მიმართ ჩადენილი ფიზიკური ძალადობისა და ყელზე დანის მიბჯენით სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტები. დაზარალებულმა რამდენჯერმე მიუთითა საკუთარ ემოციურ მდგომარეობაზე: *„ძალიან გთხოვთ, მე სიკვდილს ჩავხედე თვალებში, არ შემიძლია ამ ბიჭის ყურება, აღარ შემიძლია. გთხოვთ, ძალიან გთხოვთ. მაგას თუ არაფერი არ ახსოვს, მე ძალიან კარგად მახსოვს ყველაფერი“.* [56]

ნიშანდობლივია, რომ ერთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, მოსამართლემ მას განუმარტა, რომ თუ ეშინოდა ბრალდებულის, სასამართლო იქნებოდა მისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის გარანტორი, ხოლო ჩვენების მიცემის შემდეგ პროკურორი იქნებოდა ვალდებული მისი უსაფრთხოება გაეკონტროლებინა.

[55] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/606-21.
[56] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 7 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

დადებითად შეიძლება შეფასდეს მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დაზარალებულის ემოციური მდგომარეობის ფონზე მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის შესახებ. მოსამართლის პოზიციას ეთანხმებოდა პროკურორიც. თუმცა ნიშანდობლივია, რომ მოსამართლეს გადაწყვეტილება სამართლებრივად არ დაუსაბუთებია და არც შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები მიუთითებია.[57]

დაკითხვის დისტანციურად წარმოება

მონიტორინგს არ გამოუვლენია მოსამართლის მიერ დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდების შემთხვევა, მისი მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მიზნებისთვის დაკითხვის დისტანციურად ჩატარების შესაძლებლობის თაობაზე. ასევე, არ გამოვლენილა მხარის მიერ ამგვარი შუამდგომლობის დაყენების ფაქტი. აღსანიშნავია, რომ პანდემიით გათვალისწინებული რისკების შესამცირებლად, მონიტორინგის ფარგლებში 10 დაკითხვის პროცესი წარიმართა დისტანციურად, სადაც ბრალდებულსა და დაზარალებულს ერთმანეთთან უშუალო ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა არ ჰქონიათ.

დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება

მონიტორინგის შედეგად ასევე არ გამოვლენილა დაზარალებულის დაცვის მიზნით, დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების არცერთი შემთხვევა. გამოიკვეთა მხოლოდ ორი ფაქტი, როდესაც მოსამართლემ დაზარალებულს განუმარტა, რომ საფრთხის შემთხვევაში, შეეძლო დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება მოეთხოვა.

ნიშანდობლივია, რომ მონიტორინგის შედეგად, ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დაზარალებული შეშინებული და აღელვებული იყო იმის გამო, რომ შეიძლებოდა ძალადობა განმეორებულიყო. მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე დაზარალებული პრეტენზიას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ბრალდებული გირაოთი იყო გათავისუფლებული და კვლავ შიშში უწევდა ცხოვრება.[58] სხვა შემთხვევაში,

[57] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 1 ივნისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.
[58] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 28 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

დაზარალებულმა მოსამართლეს ჰკითხა ბრალდებულის მიმართ გასატარებელ შესაძლო ღონისძიებაზე: *„განცხადებას არ დაადებინებთ, რომ არ შეგვეხება?“*[59] კიდევ ერთ სხდომაზე დაზარალებულმა განაცხადა: *„მე, როდესაც პოლიცია გამოვიძახე, ანონიმურობა მოვითხოვე. ძალიან მეშინოდა ამ ადამიანის, დღემდე მეშინია, გაუწონასწორებელია“.*[60] ვხვდებით კიდევ ერთ შემთხვევას, როდესაც დანაშაულის მსხვერპლი ტიროდა და თან ამბობდა: *„დარწმუნებული ვარ, რომ გამოვა, მომკლავს, ზუსტად ვიცი“.*[61]

მოცემულ შემთხვევებში დაზარალებულთა შეშინების და აღელვების გამოვლინება მოსამართლის და ბრალდების მხარის რეაგირების მიღმა დარჩა. მოსამართლეს მათთვის არც განუმარტავს დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.[62]

1.3. დაზარალებულის მხარდამჭერი მექანიზმები მისი მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მიზნით

1.3.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი და ეროვნული კანონმდებლობა

დაზარალებულთა უმრავლესობისთვის არსებითად მნიშვნელოვანია სასამართლოში დაკითხვის მიმდინარეობის დროს გარკვეული მხარდაჭერა, თუნდაც სანდო ადამიანის გვერდით ყოფნა. სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს შეიძლება საჭირო გახდეს ფსიქოლოგიური ან/და სამართლებრივი დახმარება. ფსიქოლოგის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია როგორც მიღებული ტრავმის დამუშავება-დაძლევის პროცესში, ასევე, დაკითხვის მიმდინარეობისას შიშისა და სტრესის მოსახსნელად/შესამსუბუქებლად. ხოლო ადვოკატის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, რათა დაზარალებულმა მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია საკუთარი უფლებებისა და მათი სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ.[63]

---

[59] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 7 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[60] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/4340-20.
[61] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/3838-20.
[62] ასევე მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, დაზარალებულის ამგვარი მდგომარეობა გათვალისწინებული იყოს სასჯელის დანიშვნის დროს და, მეორე მხრივ, მოსამართლემ დაზარალებულს მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალური თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მომსახურების ფარგლებში არსებული სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.
[63] შალიკაშვილი მორის, ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, 125, 128-129.

სტამბოლის კონვენციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ზომები მსხვერპლისთვის შესაფერისი მხარდამჭერი მომსახურების მისაწოდებლად ისე, რომ მათი უფლებები და ინტერესები სათანადოდ იყოს წარმოდგენილი და გათვალისწინებული.[64] სტამბოლის კონვენციაში ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფოში არსებული დაცვის და დახმარების მექანიზმების შესახებ დაზარალებულთა ინფორმირება აუცილებელია.[65]

უფასო იურიდიული დახმარება ან შეღავათიანი ღირებულების იურიდიული დახმარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტია მართლმსაჯულების სისტემების ეკონომიკური მისაწვდომობის თვალსაზრისით. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ მისაწვდომი, მდგრადი და ქალების საჭიროებებზე მორგებული იურიდიული დახმარების სისტემის ინსტიტუციონალიზაცია და უზრუნველყონ, რომ ასეთი მომსახურება დაზარალებულებს დროულად, განგრძობითად და ეფექტიანად მიეწოდოთ.[66]

სტამბოლის კონვენციაც მიუთითებს, რომ მხარეებმა მსხვერპლისათვის უნდა უზრუნველყონ სამართლებრივი მხარდაჭერისა და უფასო იურიდიული დახმარების უფლება, ქვეყნის შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.[67]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე, *Airey v. Ireland*[68], იმსჯელა, რომ მხოლოდ ეფექტიანი და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებით იყო შესაძლებელი თავის დაღწევა ძალადობისგან. შესაბამისად, მხოლოდ ასეთი საშუალებები უზრუნველყოფდა დაზარალებულს პრაქტიკული დაცვით. სასამართლომ განმარტა, რომ ეფექტიანი წვდომა შესაძლებელია მოითხოვდეს მსხვერპლის იურიდიულ დახმარებას საქმის კომპლექსურობის გამო, რადგან მსხვერპლი არ არის გათვითცნობიერებული სამართალწარმოებაში ან,

[64] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი.
[65] იგივე, „გ“ ქვეპუნქტი.
[66] Committee on the Elimination of Discrimination against women, General Recommendation on Women's Access to Justice, CEDAW/C/GC/33, 23 July 2015, para. 36-37; [https://cutt.ly/bRdzWqH; ნანახია: 21.09.21]; ასევე იხილეთ: Committee on the Elimination of Discrimination agains women, General recommendation No. 28 on the core obligations of States parties under article 2 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women, CEDAW/C/GC/28, 16 December 2010; Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council, Minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, 25 October 2012, article 13.
[67] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 57-ე მუხლი.
[68] Airey v. Ireland, European Court of Human Rights, Application no. 6289/73, 9 October 1979.

ემოციური ჩართულობისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, მწირი შესაძლებლობა აქვს საკუთარი თავის წარმოსადგენად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სრულწლოვანი დაზარალებულის სამართლებრივი დაცვის უფლებით და შესაძლებლობით აღჭურვას არ ითვალისწინებს, რაც სრულად ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.[69] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულების მხარდაჭერის მიზნით, პროცესში არც ფსიქოლოგის ჩართვის შესაძლებლობას უზრუნველყოფს, მათ შორის, არც მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის განსაკუთრებულ შემთხვევებში.

სისხლის სამართლის პროცესის ერთადერთი მონაწილე, რომლის ფუნქციაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მხარდაჭერა და მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვაა, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორია. კოორდინატორის საქმეში ჩართვის მიზანია მოწმისთვის და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.[70]

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება ჩაერთოს პროკურორის ან გამომძიებლის გადაწყვეტილებით,[71] შემდეგი ფუნქციები აკისრია:

- მოწმესა და დაზარალებულს აწვდის საჭირო ინფორმაციას გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობის შესახებ
- მოწმესა და დაზარალებულს მათთვის გასაგები ენით განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და უხსნის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სამართლებრივ პროცედურებს

[69] ნიშანდობლივია, რომ „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, იურიდიული დახმარების სახეა დაზარალებულის დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის განხორციელების შემთხვევებში. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს კანონი სახელმწიფოს ხარჯზე დაცვას ითვალისწინებს მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვის დროს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის წარმომადგენლობისას.

[70] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58[1] მუხლის მე-2 ნაწილი.

[71] იგივე, ნაწილი 4.

- გამოძიების მიმდინარეობისას ესწრება მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებასა და საპროცესო მოქმედებას მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით
- საქმის სასამართლო განხილვისას ესწრება მოწმისა და დაზარალებულის სასამართლოში დაკითხვისა და მათი მონაწილეობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით
- მოწმესა და დაზარალებულს აწვდის ინფორმაციას მათთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა მომსახურების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში.[72]

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამართლებრივი მხარდაჭერის მისაღებად, სპეციალური თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების არსებობას ითვალისწინებს.[73] ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, სასამართლომ დაკითხვის დაწყებამდე შეახსენოს დაზარალებულს იმ შესაძლებლობის შესახებ, რომ სახელმწიფო გარკვეულ მხარდამჭერ ღონისძიებებს უზრუნველყოფს.[74]

1.3.2. მონიტორინგის შედეგები

დაზარალებულის სამართლებრივი მხარდაჭერა

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის სამართლებრივ მხარდაჭერას კერძო ადვოკატი უზრუნველყოფდა. თუმცა ამ შემთხვევაშიც ნიშანდობლივია, რომ მას სასამართლო სხდომის დარბაზში ადგილი განესაზღვრა დამსწრეებისთვის განკუთვნილ ადგილას, დაზარალებულისგან

[72] იგივე, მუხლი 58[2], ნაწილი 1.

[73] იხილეთ: „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4, ქვეპუნქტი „ი“ და „ლ“, მუხლი 17, 18 და 18[1].

[74] თუმცა, მონიტორინგის შედეგად არ გამოვლენილა არცერთი შემთხვევა, რომ მოსამართლეს დაზარალებულისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ფსიქოსოციალური და სამართლებრივი მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობის შესახებ. მხოლოდ ერთ-ერთ პროცესზე გაჟღერდა, რომ დაზარალებული აქტიურად სარგებლობდა ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (კრიზისული ცენტრის) ფსიქოლოგის მხარდაჭერით. თუმცა ეს უკანასკნელი დაკითხვის დროს უზრუნველყოფილი არ იყო არც სამართლებრივი და არც მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის დახმარებით.

დაშორებით.[75] დასაცავი პირისგან შორს ყოფნამ, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა მისი პროცესის მიმდინარეობაში ჩართვის შესაძლებლობაზეც, რის გამოც, დაკითხვისას ადვოკატი, ფაქტობრივად, არ აქტიურობდა.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მიერ დაზარალებულის მხარდაჭერა

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ, როგორც წესი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი დაკითხვის პროცესს არ ესწრება, მათ შორის, არც იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლი უარს აცხადებს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. მონიტორინგისას სასამართლო პროცესზე კოორდინატორის დასწრების მხოლოდ ერთი ფაქტი გამოვლინდა, თუმცა მას არც ამ შემთხვევაში მიეცა დაზარალებულთან კომუნიკაციის შესაძლებლობა.[76] ფაქტობრივად, პროცესზე კოორდინატორი ფორმალურად მონაწილეობდა.[77]

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის დაკითხვის სხდომაზე მოსამართლე უმეტესად არ დაინტერესებულა საქმეში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობითა და მონაწილეობით, არც იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა პოზიტიური მიდგომაც, როდესაც მოსამართლემ გამოარკვია, ჰქონდა თუ არა დაზარალებულს კომუნიკაცია კოორდინატორთან და პროკურორისგან უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ, მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ის საქმეში ჩართულიყო და სხდომა გადადო.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია შესაბამისი მაგალითი

> სხდომის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ კაცს ბრალი ედებოდა შემაკავებელი ორდერის დარღვევასა და მეუღლის მიმართ ჩადენილ სიცოცხლის მოსპობის მუქარაში. მოცემულ საქმეზე დაზარალებულმა უარი განაცხადა ჩვენების

[75] მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს პირველი დარბაზი იძლეოდა ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობას დამცველი მსხვერპლის სიახლოვეს ყოფილიყო და ეფექტიანად შეესრულებინა საკუთარი ფუნქცია.

[76] ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში, დაზარალებული ტრიბუნასთან იდგა და კოორდინატორის მასთან ფიზიკური სიახლოვის შესაძლებლობას ხელს არ უწყობდა დარბაზის ინფრასტრუქტურა; სხდომა ჩატარდა 2021 წლის 8 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

[77] გარდა ამისა, სხვა სასამართლო სხდომებზე, ფაქტობრივად, არ გაჟღერებულა ინფორმაცია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმის წარმოების სხვა სტადიებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამიტომ, უცნობია, ჩართული იყო თუ არა კოორდინატორი სამართალწარმოების სხვა ეტაპებზე (მაგალითად, გამოძიების სტადიაზე). მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ საქმეში ჩართული იყო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, თუმცა მან პროცესზე დასწრება ვერ შეძლო.

მიცემაზე. ამის მიზეზების გარკვევის გარდა, მოსამართლე დაინტერესდა, საქმეში იყო თუ არა ჩართული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

<u>მოსამართლე:</u> *„კოორდინატორს თუ ჰქონდა კონტაქტი დაზარალებულთან?“*

<u>პროკურორი:</u> *„როგორც ჩემთვის ცნობილია, არა.“*

<u>მოსამართლე:</u> *„რამ შეგიშალათ ხელი კოორდინატორთან შესახვედრად?“*

<u>პროკურორი:</u> *„ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ჩვენებას დღეს იძლეოდა. ახლა გახდა ცნობილი, რომ უარს ამბობს. სწორედ ეს კითხვა მექნება მასთან, როდის გადაწყვიტა მან გამოეყენებინა ეს უფლება? იმიტომ რომ ჩემთან საუბარში მან დაადასტურა ფაქტები და აძლევდა ჩვენებას სასამართლოს. ხომ ასე იყო?“*

<u>მოსამართლე:</u> *„თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ოჯახში ძალადობის საქმე ამით განსხვავდება სხვა კატეგორიის საქმეებისგან. დაზარალებულები არასტაბილური განწყობებით გამოირჩევიან, ყოველწუთიერად შეიძლება მსხვერპლის სტატუსის მატარებელმა შეიცვალოს პოზიცია, საფრთხეები ყველა ინდივიდუალურ საქმეში არსებობს. ამიტომ უნდა განჭვრიტოთ ეს საფრთხეები და ჩართოთ კოორდინატორი. დღესაც შეგვიძლია გადავდოთ პროცესი, შეხვდეს კოორდინატორი დაზარალებულს და მომდევნო პროცესზე ჩამოყალიბებული პოზიციით მობრძანდეს.“*

სხდომის გადადებასთან დაკავშირებით, პროკურორი დაეთანხმა მოსამართლეს, რომელმაც საბოლოოდ მიიღო კიდეც ეს გადაწყვეტილება და მიმართა დაზარალებულს:

„მოდით, დღეს არ ავჩქარდეთ. თქვენთან კომუნიკაცია მარწმუნებს, რომ თქვენ რაღაც გაბრკოლებთ, რაღაცის თქმა გსურთ, მაგრამ ვერ ამბობთ. დღევანდელი პროცესი გადავდოთ, შეხვდებით კოორდინატორს და მომდევნო პროცესზე ჩამოყალიბებული პოზიციით მობრძანდებით.“

მონიტორი ამ საქმის მომდევნო სხდომასაც დაესწრო. დაზარალებულმა მოსამართლეს დაუდასტურა, რომ კომუნიკაცია ჰქონდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან, თუმცა, მიუხედავად ამისა, განაცხადა, რომ მისი პოზიცია ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესახებ უცვლელი იყო.[78]

[78] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 30 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

1.4. მოსამართლისა და მხარეების მონაწილეობა დაზარალებულის დაკითხვის პროცესში

1.4.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი და ეროვნული კანონმდებლობა

სასამართლო პროცესზე დაზარალებულის დაკითხვის დროს ერთ-ერთი დიდი პრობლემა მოსამართლის, პროკურორის და ადვოკატის მხრიდან დანაშაულის მსხვერპლისადმი არასენსიტიური მოპყრობაა. მნიშვნელოვანია მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების და პროცესის სხვა მონაწილეთა მხრიდან დაზარალებულისადმი ფრთხილი და ადამიანური დამოკიდებულების გამოვლენა, რაც პირველ რიგში, დანაშაულის მსხვერპლის დაკითხვის დროს უნდა გამომჟღავნდეს.[79] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი მოითხოვს დაზარალებულებისადმი თანაგრძნობითა და ღირსების პატივისცემით მოპყრობას.[80] მოსამართლემ გულდასმით და ყურადღებით უნდა მოუსმინოს მსხვერპლს და არ დაუსვას უსამართლოდ ინტრუზიული, შემარცხვენელი ან განმეორებითი კითხვები. მან ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარ ვერბალურ თუ არავერბალურ კომუნიკაციას და თავი შეიკავოს მსხვერპლის ქცევისა თუ ნათქვამის შემფასებელი მიმიკებისა და მოძრაობებისგან. მოსამართლე მოთმინებით უნდა მოეკიდოს იმ ფაქტს, რომ შესაძლებელია მსხვერპლს დაავიწყდეს მნიშვნელოვანი დეტალები და მისცეს ამბის საკუთარი სიტყვებით გადმოცემის შესაძლებლობა.[81] იგივე მოეთხოვება დაკითხვის პროცესის მონაწილე პროკურორს და ადვოკატსაც.

მოსამართლემ და პროკურორმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის დაცვა შევიწროებისა და დაშინებისაგან სასამართლო სხდომის დარბაზში, რაც შეიძლება გამოიხატოს ისეთი მტკიცებულებების წარდგენაში/გამოკვლევაში, რომლებიც საზიანო, დისკრიმინაციული ან შემარცხვენელია.[82] მსხვერპლის დაკითხვა,

---

[79] შალიკაშვილი მორის, ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, 126.

[80] UN Declaration for Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Adopted by General Assembly resolution 40/34 of 29 November 1985, para. 4; [https://cutt.ly/9RdFPyM; ნანახია: 21.09.21].

[81] Anna Costanza Baldry and Elisabeth Duban, Improving the Effectiveness of Law Enforcement and Justice Officers in Combating Violence against Women and Domestic Violence, Training of Trainers Manual, 2016, 65-67; [https://bit.ly/3tRpmE0; ნანახია: 21.09.21].

[82] მაგალითად, მსხვერპლისთვის კითხვების დასმა მის სექსუალურ ცხოვრებასთან ან ალკოჰოლის და ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით.

რომელიც აღვივებს სტერეოტიპებს, უნდა შეწყდეს პროკურორის პროტესტით ან მოსამართლის გადაწყვეტილებით. პროკურორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ნიშნებს, რომლებიც მეტყველებენ დაზარალებულის განერვიულებაზე ან გადაღლილობაზე დაკითხვის დროს და მოითხოვონ მოკლე შესვენება.[83]

სისხლის სამართლის პროცესში, დაკითხვისას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის მომეტებული რისკი უშუალოდ ბრალდებულის და მისი ადვოკატის მიერ დაზარალებულისკენ მიმართული ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციიდან მომდინარეობს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, გაკონტროლდეს ქცევა სასამართლო სხდომის დარბაზში და აღიკვეთოს მოძალადის მხრიდან იმგვარი ტაქტიკის გამოყენება, რომელიც მიმართულია მსხვერპლის მანიპულირების ან პროცესისთვის ხელის შეშლისკენ.[84] ამგვარი ტაქტიკის გამოყენების გამოვლენისას, მოსამართლემ უნდა ურჩიოს მოძალადეს შეწყვიტოს ასეთი ტიპის ქცევა და გააფრთხილოს სასამართლოს შეურაცხყოფის რისკების თაობაზე. ასევე, მხარეებს მკაფიოდ უნდა განემარტოს, რომ ემოციური აფეთქებები, მიმიკები თუ ჟესტები არ დაიშვება და იმ შემთხვევაში, თუ გაფრთხილებას არ გაითვალისწინებენ, ასეთი ქცევის მქონე სუბიექტებს გაიყვანენ სასამართლო დარბაზიდან.[85]

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მკაფიოდ აყალიბებს სტანდარტებს ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით, რომელთა შორის არის განმცხადებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა. იმაზე მსჯელობისას, თუ რამდენად არის დაცული სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებულის უფლებებსა და, მეორე მხრივ, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ დაზარალებულის უფლებებს შორის, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ სტანდარტებს.

სტამბოლის კონვენცია ხელშემკვრელი მხარეებისგან მოითხოვს ყველა საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღებას მსხვერპლის უფლებებისა და ინტერესების

[83] Anna Costanza Baldry and Elisabeth Duban, Improving the Effectiveness of Law Enforcement and Justice Officers in Combating Violence against Women and Domestic Violence, Training of Trainers Manual, 2016, 77; [https://bit.ly/3tRpmE0; ნანახია: 21.09.21].
[84] მაგალითად, მსხვერპლისთვის ჩვენების შეწყვეტინება ან მსხვერპლის დადანაშაულება.
[85] Anna Costanza Baldry and Elisabeth Duban, Improving the Effectiveness of Law Enforcement and Justice Officers in Combating Violence against Women and Domestic Violence, Training of Trainers Manual, 2016, 78; [https://bit.ly/3tRpmE0; ნანახია: 21.09.21].

დასაცავად. ასეთი ზომები, *inter alia*, გულისხმობს მსხვერპლთა დაცვას დაშინებისგან და მეორეული ვიქტიმიზაციისგან, რათა დაზარალებულებმა შეძლონ თავიანთი მოსაზრებების, საჭიროებებისა და წუხილების გაჟღერება სათანადოდ გასათვალისწინებლად და თუ ეს დაშვებულია ეროვნული კანონმდებლობით, ასევე შეძლონ ჩვენების მიცემა სავარაუდო მოძალადის დაუსწრებლად.[86]

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე, **Y v. Slovenia,** აღნიშნა, რომ, როგორც წესი, ბრალდებულის უფლებები მოითხოვს ბრალდებულისათვის ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობის მიცემას, დაუპირისპირდეს ან დაკითხოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმე. თუმცა საკუთარი დაცვის უფლება არ გულისხმობს ბრალდებულის შეუზღუდავ უფლებას, გამოიყენოს დაცვის ნებისმიერი არგუმენტი.

სასამართლომ განმარტა, რომ ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა გამოიყენონ მოწმის დასაშინებლად ან დასამცირებლად.[87] მოსამართლის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს განმცხადებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა სამართალწარმოების პროცესში, კერძოდ, დაიცვას იგი ბრალდებულის შეუსაბამო განცხადებებისგან, რაც იქნება განმცხადებლის მიერ მიღებული ტრავმის შემამსუბუქებელი დაცვის სათანადო ზომა/ინტერვენცია.[88]

მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში გაიზარდა ცნობიერება დაზარალებულის მოწყვლადობის თაობაზე, დანაშაულის მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკები, საზოგადოებაში ფესვგადგმული სტერეოტიპული დამოკიდებულებების გამო, სასამართლოს დარბაზში მოსამართლესთან და მხარეებთან კომუნიკაციის დროს კვლავ მაღალია. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის სპეციალურ გარანტიებს სასამართლო სხდომის დარბაზში, მათ შორის, პირდაპირი თუ ჯვარედინი დაკითხვის დროს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სტანდარტების და რეკომენდაციების საფუძველზე, აუცილებელია ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების სასამართლოში დაკითხვისას უზრუნველყოფილი იყოს გენდერულად სენსიტიური და მიუკერძოებელი გარემო. მოსამართლეებმა და მხარეებმა უნდა

[86] Y.v.Slovenia, European Court of Human Rights, Application no. 41107/10, 28 May 2015, para.104; also see: E.B. v. Romania, European Court of Human Rights, Application no. 49089/10, 19 March 2019, para. 65.
[87] იგივე, პარა. 108; ასევე იხილეთ: Council of Europe, Recommendation Rec(2002)5 of the Committee of Ministers to member states on the protection of women against violence, para 43.
[88] იგივე, პარა. 112.

გაითვალისწინონ, რომ დაზარალებულისათვის დასმული კითხვა იმგვარად იყოს ფორმულირებული, რომ არ გამოიწვიოს მისი შეურაცხყოფა და ხელახალი ტრავმირება; მიზანშეწონილი არ არის მსხვერპლისთვის იმგვარი კითხვების დასმა, რომლებიც საქმისათვის აუცილებლად დასადგენ გარემოებებს არ ეხება.[89]

1.4.2. მონიტორინგის შედეგები

მოსამართლისა და პროკურორის მონაწილეობა დაზარალებულის დაკითხვის პროცესში

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ მოსამართლეები და პროკურორები, დაზარალებულების მიმართ, ძირითადად გამოირჩეოდნენ გულისხმიერი დამოკიდებულებით, თუმცა გამოვლინდა გამონაკლისი შემთხვევებიც. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, მოსამართლემ დაზარალებულის მიმართ გამოავლინა არაეთიკური დამოკიდებულება, ხოლო 3 შემთხვევაში, მისი მხრიდან, არაეთიკურთან ერთად, გამოვლინდა ირონიული და დაზარალებულისათვის მკაცრი და ხმამაღალი ტონით მიმართვის ფაქტი. მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე, დაზარალებული დაძაბული იყო და ტიროდა როგორც დაკითხვის დაწყების დროს, ისე დასრულებისას. მართალია, მოსამართლე შეეცადა მსხვერპლის დამშვიდებას, თუმცა მოგვიანებით შემდეგი სიტყვებით მიმართა მას: *„თუ სატირლად მოხვედით, ჯობდა, სახლში გეტირათ და ისე მოსულიყავით“.*[90]

მონიტორინგის დროს დაზარალებულის მიმართ არაეთიკური და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების ფაქტი გამოვლინდა სხდომის მდივნის მხრიდანაც. ამ შემთხვევაში, დაზარალებულმა აღელვების ნიადაგზე დატოვა სასამართლო სხდომის დარბაზი.[91] ამასთან დაკავშირებით სხდომის მდივანმა ირონიული კომენტარი გააკეთა: *„იქნებ ბრალდებულმა დაამშვიდოს თვითონ?“* [92] კიდევ ერთ სხდომაზე, როდესაც დაზარალებულმა უარი თქვა ჩვენების მიცემაზე, მოსამართლემ დაზარალებულს მიმართა: *„თქვენი გადაწყვეტილებით, ასე ვთქვათ, ერთგვარად*

[89] პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის მართლმსაჯულებაზე ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ეროვნული ნაწილი, საქართველო, 38; [https://bit.ly/3tOWR9K; ნანახია: 21.09.21].
[90] დაზარალებული დაიკითვა 2021 წლის 6 მაისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.
[91] ეს შემთხვევა უფრო დაწვრილებით აღწერილია 22-ე გვერდზე.
[92] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 1 ივნისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

ახალისებთ ბრალდებულს, წახალისება გამოდის“. მოსამართლის სიტყვები მართლმსაჯულების განხორციელებისა და პირის დასჯის ტვირთის დაზარალებულზე დაკისრების შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მონიტორინგის პროცესში ასევე გამოვლინდა მოსამართლის მხრიდან დაზარალებულთან არავერბალური ირონიული კომუნიკაციის ფაქტი. დანაშაულის მსხვერპლი უარს აცხადებდა მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ამასთან დაკავშირებით, მოსამართლემ დაზარალებულს ჰკითხა, რას აპირებდა ძალადობის მომავალში განმეორების შემთხვევაში. დაზარალებულმა უპასუხა, რომ მას სჯეროდა, რომ ბრალდებული აღარ ჩაიდენდა მსგავს ქმედებას. ამ დროს მოსამართლემ ტუჩების მიმიკური ცვლილებით აშკარად გამოხატა დაზარალებულის ამ პოზიციის მიმართ ირონიული დამოკიდებულება და გამოავლინა მისი შეხედულება, რომ ამაში ნაკლებად იყო დარწმუნებული.[93]

ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისგან განსხვავებით, გამოვლინდა მოსამართლეთა მხრიდან განსაკუთრებით გულისხმიერი დამოკიდებულება დაზარალებულთა მიმართ, როდესაც მოსამართლე დაზარალებულს ამხნევებდა, ამშვიდებდა და სთავაზობდა შესვენებას, სკამის დადგმას, წყალს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, მოსამართლემ შემდეგი სიტყვებით მიმართა დაზარალებულ 86 წლის ქალს: *„თუკი დაიღლებით, წყალი დაგჭირდებათ, ბრძანეთ. წყალსაც მოგაწოდებთ და შესვენებასაც გამოვაცხადებთ. შევეცდებით, მაქსიმალურად დიდხანს არ შეგაყოვნოთ“.*[94] სხვა საქმის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ მოსამართლემ წყალი და სკამი შესთავაზა დაზარალებულს, რომელსაც დაკითხვისას აღელვება შეატყო: *„ნუ ღელავთ, რატომ ნერვიულობთ, წყალი ხომ არ მოგაწოდოთ, სკამი ხომ არ გნებავთ?“*[95] ასევე, კიდევ ერთ საქმეზე, მოსამართლემ მხარდაჭერა გამოუცხადა მძიმე ემოციურ მდგომარეობაში მყოფ დაზარალებულს: *„ქალბატონო ხ., სასამართლოს თხოვნა და რჩევა არის, არ ინერვიულოთ, თქვენ ბრძანდებით ახალგაზრდა ქალი, მთელი ცხოვრება გაქვთ წინ. მერწმუნეთ! არ ინერვიულოთ - ეს არის სასამართლოს რჩევა, ამით შეუძლია სასამართლოს მხარდაჭერა გამოგიცხადოთ. ნუ ღელავთ, ყველაფერი იქნება კარგად, მერწმუნეთ!“*[96]

[93] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 18 მაისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.
[94] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 11 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[95] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/4980-20.
[96] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/3838-20.

ბრალდებულის მონაწილეობა დაზარალებულის დაკითხვის პროცესში

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ დაზარალებულთა მეორეული ვიქტიმიზაციის რისკები განსაკუთრებით ხშირად მომდინარეობდა ბრალდებულისგან. 11 სხდომაზე გამოვლინდა ბრალდებულის დაზარალებულთან ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის დამყარების შემთხვევა. ბრალდებულები ასევე უშუალოდ მონაწილეობდნენ დაკითხვის პროცესში, კერძოდ, სვამდნენ კითხვებს ან/და გამოხატავდნენ საკუთარ პოზიციას, რაც ხშირად იყო შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი. მაგალითად: *„რატომ იტყუები შვილო?“* [97]; *„სისულელეებს ლაპარაკობ, რა სისულელეა, არ გრცხვენია?“*[98]; *„არა გრცხვენია, ღმერთს იფიცები?“*[99]; *„ხედავ, რეებს ლაპარაკობს?“*[100] და ა.შ.

ერთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემისას ბრალდებული იცინოდა, პროკურორმა მოსამართლეს ზომების მიღებისკენ მოუწოდა, რათა ბრალდებულს შეეწყვიტა ამგვარი ქცევა. თუმცა მოსამართლემ მხოლოდ გადახედა ბრალდებულს, მისთვის არც შენიშვნა მიუცია და არც სხვა რეაგირება განუხორციელებია.[101] კიდევ ერთ სხდომაზე, ბრალდებულს გაეცინა, როდესაც დაზარალებულმა განაცხადა, რომ ძალიან ეშინოდა და ვერ იტყოდა საცხოვრებელი ადგილის მისამართს. ბრალდებულს ასევე გაეცინა, როდესაც დაზარალებული სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტებზე ლაპარაკობდა. ეს შემთხვევაც მოსამართლის და ბრალდების მხარის რეაგირების გარეშე დარჩა.[102]

მონიტორინგის შედეგად, 5 სხდომაზე გამოვლინდა დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის დაპირისპირების ფაქტი. ასევე იყო შემთხვევები, როდესაც დაზარალებულისთვის კითხვების დასმის ნაცვლად, ბრალდებული აკეთებდა შეფასებებს, ყვებოდა შემთხვევის საკუთარ ვერსიას და ცდილობდა გაემართლებინა საკუთარი ქმედება ან/და მომხდარში დაზარალებული დაედანაშაულებინა. სასამართლო პროცესზე, დაპირისპირების აღსაკვეთად, ძირითადად, არ მიუღიათ რაიმე ქმედითი ზომა. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ ბრალდებულებს

[97] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 13 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[98] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 7 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[99] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 8 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[100] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/606-21.
[101] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 28 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[102] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 8 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

მოუწოდა დაზარალებულებისთვის შეკითხვები დაესვათ, ისინი მაინც აკეთებდნენ შეურაცხმყოფელ და დამადანაშაულებელ შეფასებებს.

ამ ტენდენციისგან განსხვავებული მიდგომა გამოვლინდა ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ბრალდებული შეკითხვების დასმის ნაცვლად, შეფასებებს აკეთებდა და საუბრობდა ყოფით საკითხებზე, რაც საქმის გარემოებებს არ უკავშირდებოდა. მოსამართლემ რამდენჯერმე და დეტალურად განუმარტა ბრალდებულს, რომ კითხვები დაესვა საქმესთან დაკავშირებით, მოუწოდა, დაზარალებულისთვის თქვენობით მიემართა და შესთავაზა, დაკითხვა მის ადვოკატს გაეგრძელებინა. ამის შემდეგ ბრალდებულმა შეწყვიტა საუბარი და დაზარალებულის დაკითხვა მისმა ადვოკატმა განაგრძო. მოცემულ საქმეში, მოსამართლემ შეასრულა პოზიტიური როლი დაზარალებულისა და ბრალდებულის დაპირისპირების, ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის დამადანაშაულებელი შეფასებების გაკეთებისა და მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად.[103]

გამოვლინდა პოზიტიური მიდგომებიც. მაგალითად, მოსამართლემ ბრალდებულის არასათანადო რეპლიკაზე, - „ტყუიხარ“, - შენიშვნა მისცა ბრალდებულს: *„გაძლევთ შენიშვნას! დაიცავით წესრიგი! შემდეგ შემთხვევაში პირდაპირ გაგაძევებთ დარბაზიდან!“* [104] სხვა სხდომაზე, სადაც ბრალდებულმა განაცხადა, რომ დაზარალებული იტყუებოდა, მოსამართლემ მიუთითა მას: *„ბატონო რ., შენიშვნას გაძლევთ! დაემორჩილეთ სასამართლოს წესებს, განკარგულებებს! აღნიშნულის კიდევ ერთხელ გამეორების შემთხვევაში, გაგაძევებთ! .... კორექტულად! თავაზიანად! ..... და თავი შეიკავეთ, შეიკავეთ თავი! სხვა შემთხვევაში, გაგაძევებთ!“* [105] ასევე, გამოვლინდა ფაქტი, როდესაც დაზარალებულის საუბრის დროს ბრალდებულმა განაცხადა, რომ არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა, თუმცა მოსამართლემ გააჩერა.

ადვოკატის მონაწილეობა დაზარალებულის დაკითხვის პროცესში

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატები ქმნიდნენ დაზარალებულთა მეორეული ვიქტიმიზაციის რისკებს. გამოვლინდა ადვოკატების მიერ არარელევანტური შეკითხვების დასმის ფაქტებიც.[106]

[103] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/4340-20.
[104] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 8 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[105] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/4340-20.
[106] ასეთი ფაქტები გამოვლინდა 7 საქმეში.

ეს შეკითხვები დაკავშირებული არ ყოფილა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და მიმართული იყო მსხვერპლის დისკრედიტაციისკენ. თუმცა დაზარალებულს მაინც მოუხდა მათზე პასუხის გაცემა.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

კაცს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ ჩადენილ სიცოცხლის მოსპობის მუქარასა და სისტემატურ ფსიქოლოგიურ ძალადობაში. ბრალდებულის ადვოკატმა დაზარალებულს დაუსვა კითხვები, რომელთაც კავშირი არ ჰქონდათ საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას გულისხმობდა.

ადვოკატი: *„თქვენ თუ მოიხმართ ან ნარკოტიკულ საშუალებებს ან ალკოჰოლს?“*

დაზარალებული: *„მე? არა, ჩემთვის ალკოჰოლი არ შეიძლება“.*

ადვოკატი: *„ანუ, თქვენთვის რატომ არ შეიძლება ალკოჰოლი, მითხარით, ვერ გავიგე, ბოდიში“.*

დაზარალებულმა მიუთითა ჯანმრთელობის კონკრეტულ პრობლემაზე, რის გამოც არ მოიხმარდა ალკოჰოლს.

ადვოკატი: *„და არ სვამდით არასდროს?“*

დაზარალებული: *„არა“.*

.....

ამავე საქმეზე დაზარალებულმა ერთ-ერთ კითხვაზე პასუხის გაცემისას აღნიშნა, რომ ნევროზი ჰქონდა, რის შემდეგაც ადვოკატმა კვლავ დასვა არარელევანტური და შეურაცხმყოფელი შინაარსის შეკითხვები.

ადვოკატი: *„თქვენ ფსიქიკური პრობლემებიც ხომ არ გაქვთ?“*

დაზარალებული: *„მე რომ ოპერაცია გავიკეთე, მაგის მერე დამემართა“*[107]

ადვოკატი: *„რისი ოპერაცია გაიკეთეთ?“*

დაზარალებულმა მიუთითა, თუ რა სახის ოპერაცია ჩაიტარა.

[107] სავარაუდოდ, დაზარალებულმა ამით ახსნა ნევროზი.

მოსამართლემ ადვოკატი მას შემდეგ შეაჩერა, როდესაც ძალიან გასცდა საქმის გარემოებებს.[108]

*****

<u>**კიდევ ერთ საქმეში, ბრალდებულის ადვოკატმა დაზარალებულს ჰკითხა:**</u>
„ქალბატონო ხ. თქვენ შემთხვევით მარიხუანას ხომ არ ეწევით?“[109]

მონიტორინგის შედეგად, 8 საქმეში გამოვლინდა დამადანაშაულებელი შინაარსის შეკითხვების დასმის ფაქტები. ამ შეკითხვების უმეტესი ნაწილი მიემართებოდა დაზარალებულის იმაში დადანაშაულების მცდელობას, თუ რატომ არ განაცხადა სამართალდამცავ ორგანოებში ძალადობის მრავალწლიანი გამოცდილების განმავლობაში. ასევე, გამოვლინდა ადვოკატის მიერ დაზარალებულის შეურაცხყოფის შემთხვევებიც.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

საქმის გარემოებების თანახმად, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა მეუღლეზე ფიზიკურად იძალადა, კერძოდ, სახის არეში გაარტყა შეკრული ხელი. დაზარალებულის განმარტებით, ეს არ იყო ძალადობის პირველი შემთხვევა და მიუთითა, რომ კონფლიქტები ძირითადად ბრალდებულის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისას ხდებოდა. როდესაც ბრალდებულმა დაზარალებულს კვლავ მოსთხოვა თანხა ალკოჰოლის შესაძენად, ქალს გაუჩნდა განცდა, რომ, შესაძლოა, კვლავ საფრთხის ქვეშ აღმოჩენილიყო, ამიტომ გადაწყვიტა პოლიციაში განეცხადებინა.

ბრალდებულის ადვოკატი თავდაპირველად დაინტერესდა, საიდან გაიგო დაზარალებულმა, რომ ბრალდებული დილიდან ალკოჰოლის მიღებას აპირებდა. კითხვაზე დაზარალებულმა უპასუხა, რომ მან თავად მისცა ალკოჰოლის თანხა ბრალდებულს. დაზარალებულის ამ ნათქვამზე ადვოკატს ირონიულად გაეცინა და განაგრძო დაკითხვა:

[108] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 8 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[109] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/3838-20.

„თუ გეშინოდათ, ადამიანი რომ სვამს, თქვენ მაინც აფინანსებთ ამ ადამიანს? რაღაცნაირად საუბრობთ, ვერ გავარკვიეთ ჩვენ ვერაფერი! რისიც გეშინოდათ, იმაში ხელს უწყობთ?“

ამავე დაკითხვისას დაზარალებულმა მიუთითა, რომ ფიზიკური ძალადობის შემდეგ ბრალდებულმა დაიძინა და მან მხოლოდ დილით, ისევ ალკოჰოლის თანხის მოთხოვნის შემდეგ გადაწყვიტა მიემართა პოლიციისთვის.

ადვოკატი: *„თქვენ საუბრობთ, რომ რაღაც საფრთხის შემცველი არის ეს ადამიანი ჩემთვისო. მთელი ღამე როგორ გაძელით? თუ მთელი ღამე ძალადობდა, დაგარტყათ, გეტკინათ, მთელი ღამე რატომ ელოდებოდით? რატომ მიმართეთ დილით პოლიციას? არ გქონდათ ღამით შიში? ეხლა საუბრობთ, რომ საშიშიაო და წინააღმდეგობაში მოდის თქვენი პასუხები რეალობასთან“.*

დაზარალებული: *„იმიტომ რომ ყოველ დალევაზე მოდის ეს ცემა, ყველაფერი. სულ მთვრალია, სულ ცემაზე. მეც ადამიანი ვარ“.*

ნიშანდობლივია, რომ ადვოკატმა რამდენჯერმე ჰკითხა დაზარალებულს იმის თაობაზე, რატომ გადაწყვიტა, დილით მიემართა პოლიციისთვის. საბოლოოდ, პროკურორმა გააპროტესტა ეს შეკითხვები იმ მოტივით, რომ კითხვებზე პასუხი უკვე გაცემული იყო. მოსამართლემაც ამავე მოტივით დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა.[110]

*****

კაცს ბრალი ედებოდა მეუღლისა და მეუღლის დედის მიმართ ჩადენილ ფიზიკურ ძალადობასა და მუქარაში: ბრალდებულმა სახლში ყოფნის დროს მეუღლე დააგდო ლოგინზე, ყელზე დანა მიაბჯინა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ხმაურზე ოთახში შევიდა დაზარალებულის დედა, რომელსაც ბრალდებულმა ხელი ჰკრა გულმკერდის არეში, რის შემდეგაც ქალი დაეცა დივანზე. დანის ყელზე მიბჯენით კაცი მასაც დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით.

ბრალდებულის მეუღლის დედის დაკითხვისას ადვოკატმა რამდენჯერმე დასვა დაზარალებულის დამადანაშაულებელი შეკითხვები.

ადვოკატი: *„ქალბატონო ც., მოკლედ, რა გვაინტერესებს, იცით? თქვენ 8 წლის განმავლობაში აცხადებდით, რომ იყო გარკვეული ზემოქმედება, ხომ? რატომ არ გადაწყვიტეთ ერთხელ, რომ მიგემართათ პოლიციისთვის ამის თაობაზე?“*

[110] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 6 მაისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

<u>**დაზარალებული:**</u> *„მე რამდენჯერ მინდოდა პოლიციაში მისვლა, იცით? ვერ წარმოიდგენთ! მაგრამ ჩემმა ქალიშვილმა გამაჩერა იმის გამო, რომ ოჯახი არ დამინგრიოო. მაგის გამო გავჩერდი ზუსტად მე! მეტი არაფერი, თორემ იცით, რა დღეში ვიყავი მე?!“*

<u>**ამ საკითხზე ადვოკატმა მოგვიანებით აღნიშნა:**</u> *„8 წელიწადი არ მოვიცდიდი, თუ ესეთი ადგილი ექნება ჩემს მიმართ. გასაგებია თქვენი პოზიცია“.*[111]

*****

კაცს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ ჩადენილ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში და სიცოცხლის მოსპობის მუქარაში. ბრალდებულის ადვოკატმა არაერთხელ მიმართა დაზარალებულს შეურაცხმყოფელ კონტექსტში.

<u>**ადვოკატი**</u>: *„ეს ჯ.-ა [დაზარალებულია], თუ სხვა ვინმეა?“*

<u>**მოსამართლე**</u>: *„კარგით, ეს შეურაცხყოფაა, ქალბატონო ი.“*

<u>**ადვოკატი**</u>: *„ბატონო მოსამართლევ, სულ სხვა რაღაცას ყვება, სულ სხვა რაღაცის ფონზე“.*[112]

*****

კიდევ ერთ საქმეში, კაცს ბრალი ედებოდა ყოფილი მეუღლის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარაში. ბრალდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა საკმაოდ აგრესიული ტონით გააპროტესტა პროკურორის მიერ დაზარალებულისთვის დასმული შეკითხვები და მსხვერპლის მისამართით არაერთი დამადანაშაულებელი და მატრავმირებელი რეპლიკა გააკეთა.

<u>**ადვოკატი**</u>: *„2016 წელს თუ რაღაც მოხდა, რა უშლიდა ხელს, მისულიყო, დაეფიქსირებინა .... ზღაპრები მოუყვეს, დაარიგეს და ყვება, არტისტია, სუფთა არტისტი“.*

.....

<u>**ადვოკატი**</u>: *„უდანაშაულოა ეს ბიჭი და ესე იგი რამდენ რაღაცას მოიგონებენ რა“.*

.....

[111] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 7 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[112] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/4340-20.

ადვოკატი: *„რატომ არ იყვირეთ, რამდენი შესაძლებლობა მოგეცათ?“*[113]

*****

ოჯახში ძალადობის სასამართლო განხილვის კიდევ ერთ სხდომაზე, ბრალდებულის ადვოკატმა დაზარალებულს დაუსვა ცინიკური და არასაერიოზული კითხვა.

ადვოკატი: *„თქვენ რომ პოლიციაში განაცხადი შეიტანეთ, [ბრალდებულმა] თქვენ მოგკლათ ან მოკლა თქვენი ოჯახის წევრები?“*

დაზარალებული: *„ფაქტია, რომ ჯერ არა“.*[114]

მონიტორინგის შედეგად ასევე გამოიკვეთა დაზარალებულისათვის კითხვების განმეორებით დასმის ტენდენცია. კერძოდ, 17-დან[115] 11 (65%) სხდომაზე მხარეები კითხვებს სვამდნენ განმეორებით, როდესაც დაზარალებულს საკითხზე პასუხი უკვე გაცემული ჰქონდა. ძირითადად, დაზარალებულს კითხვას განმეორებით უსვამდა ბრალდებულის ადვოკატი, თუმცა პროკურორის მხრიდანაც გამოვლინდა მსგავსი შემთხვევა.

კითხვების განმეორებით დასმის გამო პროკურორმა 26 შემთხვევაში დააყენა შუამდგომლობა კითხვის განრიდების თაობაზე. ამათგან, უმრავლეს შემთხვევაში, მოსამართლემ პროტესტი დააკმაყოფილა.[116] ნიშანდობლივია შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ, პროტესტის გარეშე, საკუთარი ინიციატივით მიუთითა ადვოკატს: *„ერთი წუთით ბატონო გ.! ერთი თხოვნა მექნება თქვენთან: ერთგვაროვან შეკითხვებს ნუ უსვამთ იმიტომ, რომ ქალბატონმა უკვე დეტალურად ისაუბრა როგორც თხრობისას, ისე პროკურორის მიერ კითხვების დასმის დროს. ეხლა თქვენ კიდევ მესამედ ამეორებინებთ“.*[117]

კიდევ ერთ საქმეში, როდესაც ბრალდებულის ადვოკატი დაზარალებულს უკვე პასუხგაცემულ კითხვებს უსვამდა, მოსამართლემ მას მოუწოდა, გაეთვალისწინებინა

[113] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/4914-20.
[114] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/3838-20.
[115] სადაც დაზარალებულმა ჩვენება მისცა.
[116] **შენიშვნა:** ერთ სხდომაზე, ადვოკატმა რამდენჯერმე დასვა ერთი და იგივე შეკითხვა, შესაბამისად, შესაძლებელი იყო პროკურორსაც ერთ სხდომაზე რამდენიმე პროტესტი დაეყენებინა კითხვის განრიდებასთან დაკავშირებით.
[117] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 7 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

დაზარალებულის ემოციური მდგომარეობა და იგი დროულად გაეთავისუფლებინათ სხდომის დარბაზიდან. ადვოკატის განმარტებით, კითხვებს დაზარალებულის სანდოობის, ობიექტურობისა და ჩვენების ნამდვილობის შესამოწმებლად სვამდა. ამასთან დაკავშირებით, მოსამართლემ მიუთითა: *„სანდოობის ტესტი ასე არ მოწმდება, ერთი და იგივე კითხვების დასმით და დაზარალებულის ერთგვარი დისკრედიტაციით. რამდენი ხანია კათედრასთან დგას დაზარალებული, ღელავს, ერთ საათზე მეტია იკითხება. ემოციურ ფონს ხომ ხედავთ! დასვით კითხვები, არ გზღუდავთ, უბრალოდ ერთი და იგივე კითხვა ნუ დაისმება!“*[118]

ზემოაღნიშნულის გარდა, დაფიქსირდა ბრალდებულის ადვოკატის მხრიდან დაზარალებულის დისკრედიტაციის მცდელობის შემთხვევები.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია შესაბამისი მაგალითი

> კაცს ბრალი ედებოდა ყოფილი მეუღლის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარში. ბრალდებულის ადვოკატმა, ერთ-ერთ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს, დაზარალებულს უთხრა, რომ ეს ყველაფერი მოგონილი იყო. ამაზე მოსამართლემ დაუყოვნებლივ მიუთითა, ნუ ახდენდა დაზარალებულის დისკრედიტაციას.
> **<u>მოსამართლე:</u>** *„პირდაპირ ასე დისკრედიტაცია დაზარალებულის, თან მოსამართლის თანდასწრებით, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეთიკის წესებს სცდება“.*[119]

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთ-ერთი სხდომა, სადაც გაჟღერდა ინფორმაცია ადვოკატის მხრიდან დაზარალებულის მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. კერძოდ, დაზარალებულმა ქალმა დაკითხვის დაწყებამდე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს, საიდანაც დგინდებოდა ბრალდებულის ადვოკატის მიერ მსხვერპლის დაშინების, ბრალდებულის მხრიდან სავარაუდო ანგარიშსწორების მუქარისა და მასზე

[118] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/4914-20. ამ სხდომაზე პროკურორმა რამდენჯერმე დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულის ადვოკატის კითხვის განრიდების თაობაზე, ვინაიდან დაზარალებულს მსგავს კითხვებზე პასუხები უკვე გაცემული ჰქონდა. მოსამართლე ძირითადად აკმაყოფილებდა პროტესტს და ადვოკატს მოუწოდებდა თავი შეეკავებინა ერთი და იმავე კითხვების დასმისგან.

[119] იგივე. ამ სასამართლო სხდომაზე ბრალდებულის ადვოკატი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა დაზარალებულის მიმართ, სვამდა არარელევანტურ კითხვებს, ხოლო მოსამართლე მას კორექტულობისა და თავაზიანობისკენ მოუწოდებდა. მოგვიანებით ადვოკატმა დაზარალებულის დაკითხვის პროცესში დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე, რადგან მისი მოსაზრებით, სასამართლო ტენდენციური იყო. მოსამართლემ მოისმინა მხარეების მოსაზრებები და შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა დაუსაბუთებლობის მოტივით.

სავარაუდო ზეწოლის ფაქტი. დაზარალებულის განმარტებით, მოძალადის დაკავებიდან დაახლოებით ერთ თვეში დაუკავშირდა ბრალდებულის ადვოკატი და სთხოვა შეხვედრა. ბრალდებულის ადვოკატმა დაზარალებულს შეხვედრისას უთხრა, რომ მისი ბედი და მომავალი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რას იტყოდა სასამართლოზე: *„გპირდები, რომ მაქსიმუმ ერთ წელიწადში გამოვიყვან ციხიდან [ბრალდებულს] და მერე შენ არ გინდა ცხოვრება და სიცოცხლე?!“* დაზარალებულის თქმით, ფაქტის შემდგომ მიმართა პოლიციას.[120]

ეს შემთხვევა, სავარაუდოდ, მიუთითებს დაზარალებულის მიმართ ზეწოლაზე, სცდება ადვოკატის დაცვის სტრატეგიას და მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმაზე დაყოლიების მცდელობის მძიმე შემთხვევაა.[121]

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა კარგი პრაქტიკაც, როდესაც ბრალდებულის ადვოკატი დაკითხვის პროცესში დაზარალებულის მიმართ ეთიკური და მგრძნობიარე მიდგომით გამოირჩეოდა, ითვალისწინებდა მის ემოციურ მდგომარეობას და მხოლოდ საქმესთან დაკავშირებულ შეკითხვებს სვამდა.[122]

1.5. დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა

ოჯახში ძალადობა, მისი ბუნებიდან და ჩადენის ადგილიდან გამომდინარე, არ გამოირჩევა მოწმეთა სიმრავლით, რაც ართულებს მტკიცებულებების უხვად მოპოვებას. შესაბამისად, განაჩენის გამოტანისას, მნიშვნელოვანია ამ სპეციფიკის გათვალისწინება. ასევე, განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო იმის შესაფასებლად, თუ რატომ ამბობს უარს დაზარალებული ჩვენების მიცემაზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია, მათ შორის, საქმის სასამართლოში განხილვისას, შემოწმდეს დაზარალებულის პოზიციის მიღმა არსებული მოტივები.

---

[120] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №1/3838-20.

[121] ასევე ნიშანდობლივია, რომ ამ საკითხვის ირგვლივ მსჯელობა გაგრძელდა უშუალოდ ადვოკატის მიერ დაზარალებულის დაკითხვის დროსაც. როგორც სხდომის ოქმიდან დგინდება, პროკურორმა პროტესტი დააყენა იმის თაობაზე, რომ საკითხის ირგვლივ შეკითხვები აღარ დასმულიყო. მოსამართლემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და კითხვა განარიდა იმ მოტივით, რომ ის ძალიან სცდებოდა საქმის ფარგლებს და სხვა დავის საგანს წარმოადგენდა. შემდგომ, ადვოკატმა ასევე გააკეთა განცხადება ამ საკითხზე და დაზარალებულის ქმედება შეაფასა პროვოკაციად, რომელსაც იგი მიმართავდა პროკურორის სავარაუდო ხელშეწყობითა და დახმარებით, რათა ადვოკატს სრულყოფილად ვერ შეესრულებინა თავისი საქმიანობა სასამართლო პროცესზე.

[122] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 28 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად,[123] მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის წარდგენის ვალდებულება არ ეკისრება ბრალდებულის ახლო ნათესავს.[124] ასევე, მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს მოთმინება და თავი შეიკავოს იმედგაცრუების გამოხატვისგან მაშინაც კი, როდესაც მსხვერპლი არ თანამშრომლობს/უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე.[125] მოსამართლემ ისე უნდა აუხსნას მსხვერპლს/მოწმეს მისი ჩვენების მნიშვნელობის შესახებ, რომ არ დაადანაშაულოს იგი.[126]

2019 წელს გამამართლებელი განაჩენების დიდი ნაწილი (66%) ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე გამოიტანეს, რომლის საფუძველი ძირითადად იყო საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდებულის ახლო ნათესავების მიერ ჩვენების მიცემისგან თავის შეკავება.[127] მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკა, ასევე იცნობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიუხედავად, გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს.[128] მსგავსი შემთხვევები მონიტორინგის დროსაც გამოვლინდა.

30 საქმეზე ჩატარებული მონიტორინგიდან 12 შემთხვევაში (40%), დაზარალებულმა ისარგებლა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით და უარი თქვა ჩვენების მიცემაზე.[129] დანარჩენ საქმეებში, სადაც დაზარალებულმა ჩვენება მისცა სასამართლოში, 3 შემთხვევაში დაზარალებული არ თავისუფლდებოდა ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან, ვინაიდან ბრალდებული არ იყო მისი ახლო ნათესავი,

---

[123] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

[124] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ახლო ნათესავად მიიჩნევა მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

[125] მოსამართლის მიერ უკმაყოფილების არავერბალური ფორმით გამოხატვის შესახებ, იხილეთ 36-ე გვერდზე.

[126] Improving the Effectiveness of Law Enforcement and Justice Officers in Combating Violence against Women and Domestic Violence, Training of Trainers Manual, 2016, 65-66, [https://bit.ly/3tRpmE0, ნანახია: 17.09.2021].

[127] საქართველოს პროკურატურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, 2020, 15; [https://bit.ly/2WPj5w6, ნანახია: 04.09.2021].

[128] ხატიაშვილი გოგა, საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, 2019, 45-70; [https://bit.ly/2YhUCjy, ნანახია: 04.09.2021].

[129] 6 შემთხვევაში, ბრალდებული იყო დაზარალებულის მეუღლე, 2 შემთხვევაში დადგინდა, რომ ბრალდებული და დაზარალებული იყვნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში, 2 შემთხვევაში ბრალდებული იყო ყოფილი მეუღლე, ხოლო 2 შემთხვევაში - შვილი. ერთ შემთხვევაში, სხდომა გადაიდო იმ იმედით, რომ მომდევნო სხდომაზე დაზარალებული მისცემდა ჩვენებას.

ხოლო 2 შემთხვევაში დაზარალებულმა უარყო მის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება.[130]

დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზების საილუსტრაციოდ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

> **<u>დაზარალებული:</u>** *„ჩვენების მიცემა არ მსურს, არაფრის მოყოლა არ მსურს, უბრალოდ მინდა, რომ გამოვიდეს ციხიდან, ორი შვილი მყავს, მე მას ვაპატიე“.*[131]
>
> *****
>
> **<u>დაზარალებული:</u>** *„შერიგება მინდა ჩემს ქმართან ბავშვების გამო. წეღან რომ დაინახეს ბავშვებმა მამამისი, გაგიჟდნენ, იტირეს“.* [132]
>
> *****
>
> **<u>დაზარალებული</u>**: *„არ ვიძლევი ჩემი შვილის წინააღმდეგ არანაირ ჩვენებას, შერიგებაც დავაფიქსირეთ, მოხდა კონფლიქტი, ვპატიობ ყველაფერს. დედა ვარ, ერთი შვილი რეანიმაციაში, მეორე - პატიმარი, ძალიან რთულია ჩემთვის, გაიგეთ“.* [133]
>
> *****
>
> **<u>დაზარალებული:</u>** *„მე ვპატიობ, იმიტომ, რომ ჩემი შვილების მამა არის“.* [134]

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითადად მოსამართლეები არკვევენ დაზარალებულის მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზებს, მათ შორის, გადაწყვეტილება ხომ არ არის რაიმე ზემოქმედების, მუქარის, იძულების ან დაშინების შედეგი. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დაზარალებულისათვის დასმული კითხვები შაბლონურად ჟღერდა, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესაძლო მიზეზების გამორკვევა უფრო ფორმალური იყო და არ ემსახურებოდა რეალური მოტივების დადგენას.

[130] მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე, დაზარალებულმა დაკითხვისას თქვა, რომ სინამდვილეში წაიქცა და ეს ინფორმაცია გამომძიებელმა შეთხზა. მოცემულ საქმეში ბრალდებული იყო დაზარალებულის შვილის მეუღლე (რძალი), რომელსაც ბრალი ედებოდა 86 წლის ქალის (მეუღლის დედის) მიმართ ჩადენილ ფიზიკურ ძალადობაში.
[131] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 18 მაისს, რუსთვის საქალაქო სასამართლოში.
[132] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 17 მაისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.
[133] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 30 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში.
[134] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 18 მაისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

პირს ბრალი ედებოდა გენდერული შეუწყნარებლობის ნიშნით მეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობაში, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებასა და სიცოცხლის მოსპობის მუქარაში. სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე.

<u>მოსამართლე:</u> *„ვინმემ ხომ არ დაგაძალათ, ვინმემ ხომ არ გაიძულათ ან დაგაშინათ?“*

<u>დაზარალებული:</u> *„არა, ეს შეცდომა იყო, რომელიც მე დავუშვი და ვპატიობ. სამი შვილი მყავს“.* [135]

<u>პროკურორი:</u> *„შეცდომა დავუშვიო და რას გულისხმობს თავის მიერ შეცდომის დაშვებაში?“*

<u>ბრალდებულის ადვოკატი:</u> *„ბატონო მოსამართლე, გთხოვთ, მოვხსნათ კითხვა“.*

<u>მოსამართლე:</u> *„ვერ დავკითხავთ, ქალბატონო პროკურორო. მის განმარტებებს, იმის გარდა, რასაც გვეუბნება, ვერ მივიღებთ, თუ დაძალებას ან რაიმეს არ ჰქონდა ადგილი“.*

<u>პროკურორი:</u> *„ცრუ ჩვენება ხომ არ მოგვცა-თქო, მაგას ვკითხულობ“.*

<u>ბრალდებულის ადვოკატი:</u> *„არა, არა. მაგაში ნუღარ ჩავეძიებით. თუ თქვენებს უნდათ, შეგიძლიათ, ცალკე გამოიკვლიოთ. ჩვენ ამ ეტაპზე მივიღეთ, რომ უარი თქვა...“*

<u>მოსამართლე:</u> *„დაძალებას და მუქარას ან რაიმეს ადგილი არ ჰქონია?“*

<u>დაზარალებული:</u> *„არ ჰქონია“.*

<u>ბრალდებულის ადვოკატი:</u> *„გავათავისუფლოთ, ფაქტიურად, უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე“*(იცინის).

მოსამართლე: *„არ გადაიფიქროს ბატონო ....?*[136]

ამ საუბარს დაზარალებულიც ესწრებოდა, საუბრის შემდეგ უთხრა მოსამართლემ მას, რომ შეეძლო დაეტოვებინა სხდომის დარბაზი.[137]

[135] დაზარალებულის საუბარს თარგმნიდა თარჯიმანი.
[136] მოსამართლემ სიცილით დასვა ეს კითხვა, რაზეც ადვოკატს კვლავ გაეცინა.
[137] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 27 აპრილს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

ნიშანდობლივია, რომ 2 შემთხვევაში, ბრალდებულის ადვოკატი უხეშად ჩაერია, როდესაც მოსამართლე დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზებს არკვევდა. თუმცა მოსამართლემ განმარტა, რომ იგი ვალდებული იყო გამოეკვლია ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზები. ადვოკატი შემდეგი ფორმით ჩაერია: *„ზეწოლას ჰქონდა თუ არა ადგილი, ის დავადგინოთ, ნუ შევაცვლევინებთ აზრს“.*[138]

დადებითად უნდა შეფასდეს მოსამართლეთა მხრიდან დაზარალებულისათვის იმის განმარტება, რომ თუ მომავალში კვლავ განმეორდება ძალადობრივი ქმედება, მსხვერპლი არ არის შეზღუდული ისევ მიმართოს პოლიციას დასახმარებლად.[139] ერთ-ერთ სხდომაზე, როდესაც დაზარალებულმა უარი განაცხადა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, მოსამართლემ დაზარალებულს უთხრა: *„მიუხედავად თქვენი დღევანდელი გადაწყვეტილებისა, მომავალში თუ განმეორდება მსგავსი შემთხვევა, თქვენ აუცილებლად უნდა მიმართოთ პოლიციას დასახმარებლად. თქვენ არ უნდა შეგეშინდეთ მომავალში თქვენზე განხორციელებული ძალადობის გამჟღავნება. ეს კარგად დაიმახსოვრეთ ჩემგან, კარგი?“*[140]

მონიტორინგის შედეგად, ასევე გამოვლინდა, რომ 2 შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, მოსამართლე შეეცადა გამოეკვლია ამის მიზეზი, სხვა საკითხებთან ერთად, ხომ არ იყო ბრალდებულზე მატერიალურად/ფინანსურად დამოკიდებული. ხოლო 5 შემთხვევაში, მოსამართლემ დაზარალებულს განუმარტა, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეებში მისი ჩვენება მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი მტკიცებულება იყო და სხვა მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, მაინც დამდგარიყო გამამტყუნებელი განაჩენი.[141]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის[142] თანახმად, 126^1 მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან 11^1 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური

---

[138] დაზარალებული დაიკითხა 2021 წლის 18 მაისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.
[139] მოსამართლეთა მხრიდან დაზარალებულისთვის ამ უფლების განმარტების 3 შემთხვევა გამოვლინდა.
[140] სხდომა ჩატარდა 2021 წლის 17 მაისს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში.
[141] აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა არ მისცა ჩვენება, მოსამართლემ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და ბრალდებული დამნაშავედ ცნო შემაკავებელი ორდერის დარღვევისა და მეუღლის მიმართ ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტებზე.
[142] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ახლო ნათესავს, რომელსაც უშუალოდ ამ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობამდე, დაკითხვის ჩამტარებელმა პირმა უნდა შესთავაზოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე 3-დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა. ეს მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე ძალადობის მსხვერპლთათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას არსებული სერვისებისა და მათი მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობის ან თანამშრომლობაზე უარის თქმის შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ.[143]

ამ მიდგომის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმის სასამართლო განხილვის დროს, სადაც ყველაზე მაღალია იმის ალბათობა, რომ დაზარალებული უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე, ხოლო დაკითხვის ჩამტარებელი პირი უმეტესად ბრალდების მხარე, რომლის მტკიცებულებების ნუსხაშიც არის შეყვანილი დაზარალებული. ამიტომ, პროკურორმა, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შედეგად დაზარალებულს, სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობის შემთხვევაში, უნდა შესთავაზოს კონსულტაციის გავლა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან. ამას ადასტურებს ისიც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილში, რომელიც მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის შეთავაზების ვალდებულებას აწესებს, მითითებულია სიტყვა „დაკითხვა“, რაც ასევე მიუთითებს სასამართლო განხილვის ეტაპზე, რადგან გამოძიების დროს ხდება მოწმის/დაზარალებულის გამოკითხვა და არა დაკითხვა.

სასამართლო მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ დაზარალებულს, უმეტესად არ სთავაზობენ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლასა და მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობას.[144] მოსამართლემ მხოლოდ ერთ შემთხვევაში განუმარტა დაზარალებულს, რომ უფლება ჰქონდა ესარგებლა მოსაფიქრებელი ვადით, რაზეც დაზარალებულმა უარი განაცხადა. კიდევ ერთ

[143] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; [https://bit.ly/2VSiPMm,ნანახია: 15.08.2021].

[144] ბრალდების მხარე 5 საქმეში ჩაერია დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზების გამორკვევის პროცესში, თუმცა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა არ შეუთავაზებია.

შემთხვევაში, მოსამართლემ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან შეხვედრის მოტივით გადადო სხდომა.[145]

1.6. სხდომის დაგვიანებით დაწყება

სხდომების დაგვიანებით დაწყება, რომლებზეც დაზარალებული უნდა დაიკითხოს, ნეგატიურად მოქმედებს მსხვერპლის ემოციურ მდგომარეობაზე და კიდევ უფრო ზრდის დაზარალებულსა და ბრალდებულს, ან მის ნათესავებს შორის არასასურველი კომუნიკაციის რისკებს.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო სხდომები უმეტესად (20 შემთხვევაში) დაგვიანებით დაიწყო.[146] რაც შეეხება დაგვიანების მიზეზებს, როგორც მონიტორინგის შედეგად გახდა ცნობილი, ის უკავშირდებოდა მოსამართლის ან მხარის (პროკურორის, ბრალდებულის ადვოკატის) დაგვიანებას (8 შემთხვევა), ბრალდებულის სასამართლოში ტრანსპორტირების ან პენიტენციური დაწესებულებიდან ბრალდებულის დისტანციურად ჩართვის შეფერხებას (4 შემთხვევა), თავისუფალი დარბაზის არქონას (1 შემთხვევა) და ა.შ.[147]

ერთ-ერთ საქმეზე სხდომა 2 საათისა და 17 წუთის დაგვიანებით დაიწყო.[148] როგორც მოსამართლემ სხდომის დასრულების შემდეგ აღნიშნა, საკმაოდ რთულია სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ბრალდებულის ჩართვის უზრუნველყოფა და დიდწილად სწორედ ამაზეა დამოკიდებული სხდომის დაწყება. კიდევ ერთ საქმეში, სადაც სხდომა 4 საათისა და 10 წუთის დაგვიანებით დაიწყო, თავდაპირველად ამის მიზეზად სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ბრალდებულის დისტანციურად ჩართვის სირთულე დასახელდა.[149]

---

[145] მაგალითი იხილეთ 30-ე-31-ე გვერდებზე.

[146] მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაიწყო სხდომა დროულად, ხოლო 9 შემთხვევაში, მონიტორმა ამ საკითხის შეფასება ვერ მოახერხა, რადგან სხდომის დაწყების ზუსტი დრო არც წინასწარ იყო ცნობილი და არც ტაბლოზე იყო ასახული ინფორმაცია. ამ 20 შემთხვევიდან 9 შემთხვევაში, სხდომის დაწყება ერთ საათზე მეტი ხნით დაგვიანდა.

[147] ერთ შემთხვევაში, გამოვლინდა, რომ დაზარალებულმა არ იცოდა, სად მდებარეობდა სასამართლო, რის გამოც პროკურორთან მივიდა სამსახურში.

[148] ამ ხნის განმავლობაში დაზარალებული ზოგჯერ შენობის შესასვლელში, ზოგჯერ კი, შესასვლელთან მდებარე კიბეზე იცდიდა.

[149] ამის გამო, დაზარალებული, რომელიც სასამართლოს შენობის შესასვლელთან იცდიდა, საკუთარ სახლში დაბრუნდა საკვების მისაღებად. შემდეგ სასამართლო სხდომის დასაწყებად უკვე დაზარალებულის დაბრუნებას ელოდნენ.

სხდომის დაგვიანებით დაწყება დამატებითი სტრესის მომტანია დაზარალებულისთვის, ამის გამო შეიძლება მოუწიოს საშინაო საქმეებსა და სამსახურებრივ აქტივობებზე უარის თქმა. ეს ხელს უშლის მართლმსაჯულებაზე ეფექტიან მისაწვდომობას და მაღალია დაზარალებულის მხრიდან სამართალწარმოებაში მონაწილეობაზე უარის თქმის რისკები.

თავი II. ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი სრულწლოვანი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვაზე ორიენტირებული სასამართლოს ინფრასტრუქტურა

ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვას ვერ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლებების სათანადოდ განმარტება ან დამცავი და მხარდამჭერი მექანიზმების არსებობა. მეორეული ვიქტიმიზაციის რისკები არც მხოლოდ მოსამართლეებისა და პროცესის მონაწილე მხარეების ქცევიდან მომდინარეობს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, სასამართლო შენობების ინფრასტრუქტურა იმგვარად მოეწყოს, რომ შეამციროს ან დააბალანსოს დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა.

ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია სასამართლოში მუშაობდნენ შესაბამისი ცოდნით, გამოცდილებით და უნარით აღჭურვილი უსაფრთხოების თანამშრომლები, რომლებსაც შეეძლებათ სასამართლოს შენობაში შემსვლელ-გამსვლელთა სათანადოდ შემოწმება (სკრინინგი), ასევე, მოსაცდელ სივრცეში მყოფთა მეთვალყურეობა, რისკების დროული გამოვლენა და მართვა. მაგრამ, მეორე მხრივ, სასამართლოს ინფრასტრუქტურაც უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მაქსიმალურად აიცილონ თავიდან დაპირისპირებული მხარეების ფიზიკური შეხვედრა, რაც ძალადობის გაგრძელების წყაროდ შეიძლება იქცეს ან დაზარალებულის დამატებითი სტრესი და ტრავმირება გამოიწვიოს.

შესაბამისად, სასამართლოს ინფრასტრუქტურა და გარემო მნიშვნელოვანი კომპონენტია ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესაფასებლად. საფრთხის შემქმნელმა გარემომ და ინფრასტრუქტურულმა პრობლემებმა შეიძლება არა მხოლოდ გააუარესოს მართლმსაჯულების ხარისხი, არამედ მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციის რისკებიც გაზარდოს. ამის შედეგად დაზარალებული, შესაძლოა, პესიმისტურად განეწყოს მართლმსაჯულების სისტემის, როგორც ერთიანობაში მისი დამცავი მექანიზმის ფუნქციონირების მიმართ და მომავალში უარი თქვას მასთან ყოველგვარ შემხებლობაზე.

სტამბოლის კონვენცია განსაზღვრავს ზოგად დანაწესს, რომ სახელმწიფოს ევალება უზრუნველყოს მსხვერპლის, მისი ოჯახის წევრების და მოწმეების დაცვა დაშინების, შურისძიებისა და განმეორებითი ძალადობისგან.[150] ხოლო შემდეგ აკონკრეტებს, რომ შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იყოს აცილებული მსხვერპლსა და დამნაშავე პირებს შორის კონტაქტი სასამართლოს შენობაში.[151] ასევე, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან აუცილებელი პირობები, რათა არ მოხდეს დამნაშავესა და დაზარალებულს შორის კონტაქტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას თავად სისხლის სამართლის პროცესი მოითხოვს. სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ახალი სასამართლო შენობები აღჭურვილი იყოს დაზარალებულებისთვის ცალკე მოსაცდელი სივრცეებით.[152]

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სასამართლო შენობების დამოუკიდებელი მოსაცდელი სივრცეებით, შესასვლელებით, დაკითხვის დისტანციურად ჩასატარებელი სივრცეებითა და ტექნიკური მოწყობილობებით ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა და სხვა დამცავი გარემო ფაქტორების მოწყობა. სწორედ ეს იყო ინფრასტრუქტურული მონიტორინგის ობიექტი.

2.1. მოსაცდელი სივრცე

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ არცერთ შემოწმებულ სასამართლოს შენობაში არ არის გამოყოფილი განცალკევებული სივრცე დაზარალებულებისთვის, სადაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები დაელოდებიან სხდომის/დაკითხვის დაწყებას. ყველა შემოწმებულ სასამართლოს შენობაში არსებობს საერთო მოსაცდელი სივრცე, თუმცა ისინი ძირითადად განკუთვნილია პროცესის სხვა მონაწილეებისთვისაც, ადვოკატებისა და პროკურორებისთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწმეებს/დაზარალებულებს შენობის საერთო ფოიეში უხდებათ დაკითხვის დაწყებამდე მოცდა, რაც, თავისთავად, ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულთან ან მისი ოჯახის წევრებთან არასასურველი შეხვედრის თავიდან აცილებას. თუმცა, სასამართლოს წარმომადგენელთა

[150] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.
[151] იგივე, „ზ“ ქვეპუნქტი.
[152] Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council, Minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, 25 October 2012, article 19. [https://cutt.ly/sRT0r5y; ნანახია: 21.09.21].

განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულის ან/და ბრალდების მხრიდან განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია ადვოკატებისა და პროკურორებისთვის განკუთვნილი სივრცის გამოყენება.[153] აღსანიშნავია, რომ შეიძლება დაზარალებულს გაუჭირდეს წინასწარ მიმართვა სასამართლოსთვის ან/და მანდატურის სამსახურისთვის, ან თავად არ ფლობდეს ინფორმაციას ბრალდებულის ახლო ნათესავების სასამართლო პროცესზე გამოცხადებისა და სავარაუდო საფრთხეების თაობაზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების მხარემ გამოიკვლიოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაზარალებულის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, საჭიროა თუ არა სპეციალური ზომების მიღება და ამის თაობაზე ინფორმაცია წინასწარ მიაწოდოს სასამართლოს.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების საერთო სივრცეში დალოდების პრაქტიკაა თელავის რაიონულ სასამართლოშიც.[154] პრობლემურ შემთხვევაში, დაზარალებული შეიძლება განათავსონ არა საერთო, არამედ სხვა თავისუფალ სივრცეში. ასევე შესაძლებელია დანაშაულის მსხვერპლი ადრევე შეიყვანონ სხდომის დარბაზში, სადაც ის დაელოდება დაკითხვის დაწყებას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მოსაცდელად გათვალისწინებულია მედიაციის ოთახი.[155] ამასთანავე, პანდემიის პერიოდში, ვირუსის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით, სასამართლოს შენობის საერთო მისაღებ ფოიეში აღებულია სკამები და პროცესის მომლოდინე ადამიანებს არ აქვთ დაჯდომის შესაძლებლობა.[156]

ბათუმისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში მხოლოდ ადვოკატებისა და პროკურორებისათვის განკუთვნილი ოთახია, რომელსაც მოწმეებიც იყენებენ.[157] ნიშანდობლივია, რომ ადვოკატების, პროკურორებისა და მოწმეებისათვის

[153] თუმცა, ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს წარმომადგენლებმა სახალხო დამცველის რწმუნებულის კითხვის პასუხად ვერ გაიხსენეს ვერცერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მსგავსი საჭიროება გამოვლინდა.

[154] ცენტრალური შესასვლელი პირდაპირ იხსნება შედარებით მცირე ზომის საერთო მოსაცდელში, სადაც პროცესის დაწყებას ყველა ერთად ელოდება - მხარეებიც და სხვა დაინტერესებული პირებიც.

[155] სასამართლოს წარმომადგენლების განმარტებით, დაზარალებულს ამ ოთახით არცერთხელ არ უსარგებლია.

[156] ამის გათვალისწინებით, დაზარალებულები, როგორც წესი, დაკითხვის დაწყებას შენობის გარეთ, მიმდებარე ტერიტორიაზე ელოდებიან.

[157] სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით, თუ ოთახით მოწმე სარგებლობს, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, მასში სხვა პირებს აღარ უშვებენ.

განკუთვნილ ოთახს აქვს დაბურული შუშები და გარედან შეუძლებელია შიგნით მყოფი პირის ამოცნობა.[158]

მონიტორინგის შედეგადაც დადასტურდა ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალების საერთო სივრცეში მოცდის პრაქტიკა.[159] ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც ბრალდებული (მისი ოჯახის წევრები) და დაზარალებული სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისევე როგორც საერთო სივრცეში, ერთად უცდიდნენ დაკითხვის დაწყებას და არაფერი აბრკოლებდა მათ ახლო ფიზიკურ ან/და ვერბალურ კომუნიკაციას.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს შენობებში ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციის, ასევე, ბრალდებულთან და მისი ოჯახის წევრებთან დაპირისპირების რისკი გაზრდილია, რადგან არ არსებობს ცალკე მოსაცდელი სპეციალური სივრცე. ძალადობის მსხვერპლ ქალებს მხოლოდ წინასწარი მოთხოვნის ან/და შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლიათ ისარგებლონ სივრცით, რომელიც რეალურად სხვა დანიშნულებით გამოიყენება. სხვა სივრცეების ამ მიზნით გამოყენება კი, პრაქტიკაში მსგავსი პრეცედენტების, ასევე სპეციალური შიდა რეგულირების/წესის არარსებობის გამო, ბუნდოვანია.

2.2. სასამართლოს შენობასა და სხდომის დარბაზში შესასვლელი

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ არცერთ შემოწმებულ სასამართლოს შენობას არ აქვს გამოყოფილი შესასვლელი, რომლითაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები ისარგებლებენ შენობის შიდა სივრცეში მოსახვედრად ისე, რომ ფიზიკური კომუნიკაცია არ ჰქონდეთ ბრალდებულთან ან/და მისი ოჯახის წევრებთან/მეგობრებთან.[160]

---

[158] თუმცა სასამართლოს წარმომადგენლები არ აზუსტებენ, უშუალოდ ძალადობის მსხვერპლი ქალები სარგებლობენ თუ არა ამ სივრცით.

[159] თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში ცალკეული დაკითხვების მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის წარმომადგენლები ასევე აკვირდებოდნენ პროცესის დაწყების დალოდებისას არსებულ ვითარებას.

[160] მართალია, ხუთივე სასამართლოს აქვს მინიმუმ ორი და მეტი შესასვლელი, თუმცა ისინი, როგორც წესი, გამოიყენება, ერთი მხრივ, საბადრაგო სამსახურის მიერ ბრალდებულების შენობაში შესაყვანად, ხოლო, მეორე მხრივ, აპარატის თანამშრომლებისთვის ან/და შენობაში შესვლის მსურველი სხვა დაინტერესებული აქტორებისთვის.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, დანაშაულის მოწმე და დაზარალებული ყველა პირი, მათ შორის, ძალადობის მსხვერპლი ქალი, სასამართლოს შენობაში მოსახვედრად მოქალაქეებისათვის განკუთვნილი საერთო ცენტრალური შესასვლელით სარგებლობს. სხვა შესასვლელები კი განკუთვნილია აპარატის თანამშრომლებისთვის ან საბადრაგო სამსახურის მიზნებისათვის. სასამართლოს წარმომადგენლების განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა ისარგებლონ ამ ალტერნატიული შესასვლელებით.[161]

მონიტორინგმა აჩვენა, რომ სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვებისთვის განკუთვნილ დარბაზებს, როგორც წესი, სამი შესასვლელი აქვთ. ამათგან ერთი შესასვლელით სარგებლობს მოსამართლე, მეორეს იყენებს საბადრაგო სამსახური დარბაზში პატიმრობაშეფარდებული პირების შესაყვანად, ხოლო მესამე შესასვლელი განკუთვნილია ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებიც, ისევე როგორც სხვა მოწმეები/დაზარალებულები, სასამართლოს სხდომის დარბაზში საერთო შესასვლელით ხვდებიან. მათთვის არ არსებობს დარბაზში ცალკე უსაფრთხო შესასვლელი.[162]

მოცემულ შემთხვევაშიც, სასამართლოების წარმომადგენელთა განმარტებით, საჭიროებისას, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოწმის/დაზარალებულის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სხდომის დარბაზში შეყვანა არა საერთო, არამედ მოსამართლის ან საბადრადო მიზნებისათვის

---

[161] თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობას აქვს რამდენიმე შესასვლელი, რომელთაგან მოწმე/დაზარალებულებისთვის გამოიყენება ცენტრალური კარი. საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების მიზნებისთვის შესაძლებელია აპარატის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი შესასვლელით სარგებლობა. ანალოგიური მდგომარეობაა ბათუმის საქალაქო სასამართლოშიც, რომელსაც, გარდა ცენტრალურისა, კიდევ სამი შესასვლელი აქვს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს წარმომადგენლები იხსენებენ შემთხვევას, როდესაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე, დაპირისპირების რეალური საფრთხის გამო, კანონიერი ქურდობის საქმის განხილვის მოწმე სასამართლოს შენობაში და დარბაზში ალტერნატიული შესასვლელით შეიყვანეს. თელავის რაიონულ სასამართლოს შენობას აქვს ორი შესასვლელი, რომელთაგან ერთი გამოიყენება საბადრაგო სამსახურის მიზნებისათვის, ხოლო მეორე შესასვლელი განკუთვნილია ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლებისათვის, მხარეებისთვის, პროცესის მონაწილეებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვისაც. სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით, უშუალოდ მოსამართლისგან, პროკურორისგან ან სხვა წყაროსგან თუ ექნებათ ინფორმაცია საფრთხის შესახებ, შესაძლებელია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალის სასამართლოს შენობაში შესაყვანად გამოიყენონ შესასვლელი, რომელიც, როგორც წესი, საბადრაგო სამსახურის მიზნებისთვისაა განკუთვნილი. ანალოგიური მდგომარეობა და მიდგომა გვხვდება რუსთავისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში.

[162] ნიშანდობლივია, რომ ერთადერთი თელავის რაიონულ სასამართლოში ვხვდებით სხდომის დარბაზებს, რომელთაც აქვს ორი შესასვლელი. მათგან ერთი საერთო მოხმარებისაა, ხოლო მეორე განკუთვნილია მოსამართლეებისა და საბადრაგო სამსახურისთვის.

განკუთვნილი შესასვლელით, რათა თავიდან აიცილონ დაზარალებულის კომუნიკაციის/ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა ბრალდებულთან ან/და მისი ოჯახის წევრთან/ახლობელთან. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მიმართავენ სასამართლოს ან ბრალდების მხარე დააყენებს შუამდგომლობას, სასამართლოებში არსებობს შესაძლებლობა და რესურსი ძალადობის მსხვერპლი ქალი ისე შეიყვანონ სხდომათა დარბაზში, არავისთან მოუხდეს შეხვედრა.[163] ასევე, თელავის რაიონული სასამართლოს წარმომადგენლის ინფორმაციით, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, თუ მხარეები არ არიან ჯერ მოსულები, დაზარალებული სხდომის დარბაზში შეჰყავთ საერთო შესასვლელიდან, სადაც უცდის პროცესის დაწყებას, ან, სხვა შემთხვევაში, იყენებენ ე.წ. საბადრაგო შესასვლელს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, შიდა რეგულირების/წესის არარსებობა აჩენს ბუნდოვანებას ალტერნატიული შესასვლელების ამ მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით.

2.3. დისტანციური დაკითხვის სივრცითი და ტექნიკური ინფრასტრუქტურა

მონიტორინგის შედეგად პრობლემები გამოიკვეთა დაკითხვის დისტანციურად საწარმოებლად სივრცითი და ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით. თბილისის, ბათუმისა და თელავის სასამართლოებში დისტანციური დაკითხვისთვის სპეციალურად გამოყოფილი ოთახები არ არსებობს. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს შენობიდან მოწმის/დაზარალებულის დისტანციურად დაკითხვა ტექნიკურად შესაძლებელია.[164]

[163] წარმომადგენლის განმარტებით, ამის პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა კიდეც რუსთავის საქალაქო სასამართლოს, თუმცა საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ საფრთხე რეალური არ იყო და სასამართლო განხილვას სხვა პირები არ დასწრებიან. ბათუმის საქალაქო სასამართლოშიც ყოფილა შემთხვევა, როდესაც სხდომათა დარბაზში მოსამართლეებისთვის განკუთვნილი შესასვლელიდან შეუყვანიათ ქურდული სამყაროს წევრობის საქმის მოწმე ან დაცვის სპეციალურ ღონისძიებაში ჩართული მოწმე. ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოება, რომ თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში ცალკეული დაკითხვების მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის წარმომადგენლები ასევე აკვირდებოდნენ, თუ რომელი შესასვლელით სარგებლობდნენ დაზარალებულები სასამართლოს შენობაში და სხდომათა დარბაზში მოსახვედრად. აღწერილ შემთხვევებში, დაზარალებული ქალები სასამართლოს შენობაში და დარბაზში საერთო შესასვლელის გავლით ხვდებოდნენ.

[164] მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით, ერთ-ერთ ოჯახში ძალადობის საქმეზე დისტანციური დაკითხვის ჩასატარებლად სხვა სხდომის დარბაზი გამოიყენეს. ანალოგიურ მიდგომაზე მიუთითა თელავის რაიონული სასამართლოს წარმომადგენელმაც. ბათუმის საქალაქო სასამართლოში კი დისტანციური დაკითხვისთვის თანამშრომლის ოთახი გამოიყენება.

ამ მიზნებისთვის სივრცე აქვს მოწყობილი რუსთავის საქალაქო სასამართლოს. თუმცა არსებული სივრცე გამოიყენება არა მხოლოდ ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის, არამედ დისტანციური დაკითხვის სხვა შემთხვევებისთვისაც. ნიშანდობლივია, რომ ბათუმის, ქუთაისის, თბილისის საქალაქო და თელავის რაიონულ სასამართლოებში დისტანციური დაკითხვისთვის სივრცეები გამოყოფილია, თუმცა ეს ოთახები ამავე დროს, სხვა მიზნებისთვის გამოიყენება.[165] დისტანციური დაკითხვისთვის ეს ოთახები ძირითადად მაშინ გამოიყენება, როდესაც პირს თავად არ აქვს სათანადო პირობები.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლოებში დისტანციური დაკითხვის საწარმოებლად ტექნიკური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფაში თავისი როლი შეასრულა პანდემიის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა. მონიტორინგის პერიოდში სასამართლოებში არსებობდა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც გამოიყენებოდა დისტანციური სამართალწარმოებისთვის.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოება, რომ თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში, ცალკეული დაკითხვების მონიტორინგის დროს, სახალხო დამცველის წარმომადგენლები უშუალოდ დაესწრნენ 7 დაკითხვას, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ (ე.წ. „ჰიბრიდული“ ფორმატით) დისტანციურად ჩატარდა, ხოლო სამ შემთხვევაში ეს გარემოება გამოიკვეთა საოქმო ჩანაწერიდან. მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა ცალკეული ტექნიკური პრობლემები, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო პროგრამული გათიშვის თუ სხვა მიზეზების გამო დაკითხვის მიმდინარეობის შეჩერებასთან, დაკითხვაში მონაწილე პირების ხმის და გამოსახულების ხარვეზიანად მიწოდებასთან და სხვა. ერთ შემთხვევაში პროგრამული გაუმართაობის გამო ვერ მოხერხდა დაკითხვის ჩატარება და საჭირო გახდა სხდომის გადადება.

2.4. კონფიდენციალურობის დაცვა

ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლებისთვის, ხშირად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას. განსაკუთრებით

[165] მაგალითისათვის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გამოყოფილია 2 ოთახი, რომელიც ამავე დროს, ადვოკატებისა და პროკურორების მოსაცდელი სივრცეა. ხოლო ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოწმეები დისტანციურად სასამართლოს თანამშრომლის ოთახიდან იკითხებიან.

ქალი დაზარალებულებისთვის მატრავმირებელია ოჯახში ჩადენილი ძალადობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამის გათვალისწინებით, ხშირად, საკმარისი არ არის მხოლოდ სხდომების დახურვა, არამედ აუცილებელია, რომ პროცესების შესახებ ინფორმაცია არ გამოცხადდეს საჯაროდ, ასევე, სასამართლო დარბაზები იყოს აკუსტიკურად დაცული და დარბაზის გარეთ არ ისმოდეს შიგნით მიმდინარე საუბრის ხმა.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლოებში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ცხადდება ტაბლოებზე ან/და საინფორმაციო დაფებზე შესაბამისი მონაცემების განთავსებით. თუმცა, ამ შემთხვევაში, გამოცხადებული ინფორმაცია არ შეიცავს მონაცემებს დაზარალებულების შესახებ, რაც მნიშვნელოვანი გარანტიაა კონფიდენციალურობის დასაცავად.

ასევე, როგორც წესი, სასამართლოებში მანდატურის სამსახური არეგულირებს მოწმის/დაზარალებულის სხდომის დარბაზამდე მიყვანას.[166] საყურადღებო პრაქტიკა გამოვლინდა თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში. როგორც აღინიშნა, პანდემიის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლოში მისულ პირებს პროცესის დაწყებამდე გარეთ, ეზოში უწევთ დალოდება. ამის გათვალისწინებით, ხშირად, თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში სხდომის მდივანი ინფორმაციას გადასცემს მანდატურის სამსახურს, რომელიც მოსაცდელ ან გარე სივრცეში კითხულობს შესაბამის პირს და მოძიების შემდგომ უშვებს სასამართლოს შესაბამისი დარბაზის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ეს პრაქტიკა კონფიდენციალურობის დარღვევის გარკვეულ რისკებს შეიცავს, თუმცა მონიტორინგის პროცეში ასეთი დარღვევა არ გამოვლენილა.

მონიტორინგის შედეგად პრობლემები გამოიკვეთა სასამართლო სხდომის დარბაზების აკუსტიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. თბილისის საქალაქო სასამართლოში დაკითხვის ცალკეულ პროცესებზე მონიტორინგის დროს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა გამოავლინეს შემთხვევები, როდესაც დარბაზში საერთო მოსაცდელი სივრციდან შემოდიოდა ხმაური. ეს გარემოება იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ დარბაზები არ არის ხმაგაუმტარი და დახურულ კარს მიღმა მყოფი პირი შეიძლება ისმენდეს პროცესის მიმდინარეობას.

[166] მაგალითად, ბათუმის, ქუთაისისა და თელავის სასამართლოებში სხდომის მდივანი უკავშირდება მანდატურის სამსახურის წარმომადგენელს, აწვდის შესაბამის მონაცემებს და ეს უკანასკნელი მოწმეს დარბაზამდე აცილებს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში გამოიკვეთა ფაქტი, როდესაც სასამართლო შენობის დერეფანში სრულად ისმოდა ინფორმაცია დარბაზში მიმდინარე სხდომიდან, სადაც ოჯახში ძალადობის საქმე განიხილებოდა. რუსთავის საქალაქო სასამართლოში მონიტორინგის დროს გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პროცესის მიმდინარეობისას ღია იყო სხდომის დარბაზის კარი, რის გამოც დერეფანში ისმოდა პროცესის მონაწილეთა საუბარი.

2.5. სპეციალური სივრცე მცირეწლოვანი ბავშვების დედებისთვის

სასამართლოს ინფრასტრუქტურის ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მიუწვდომლობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ სასამართლოს შენობაში არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი სპეციალური სივრცე მცირეწლოვანი შვილების დედებისთვის. ამ მხრივ, მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის შენობაში ბავშვებისთვის გამოყოფილია სპეციალური სივრცე, სადაც ბავშვის დატოვება შესაძლებელია. თუმცა არსებული გარემო შეუსაბამოა მეძუძური დედებისთვის, რადგან ეს სივრცე უმეტესად გასართობად და სათამაშოდ გამოიყენება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით, შენობაში მოწყობილია არასრულწლოვანთა სპეციალური ოთახი, სადაც ასევე შეუძლიათ მოცდა ქალებს მცირეწლოვან შვილებთან ერთად. ეს ოთახი იზოლირებულია და ინფრასტრუქტურულად ხელსაყრელია, მათ შორის, კვებისთვის. თუმცა, პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ საქმეზე მისულ მოწმეს[167] თან ახლდა შვილი და დაკითხვის მიმდინარეობისას ბავშვი მანდატურის სამსახურის წარმომადგენელს ჰყავდა ჩაბარებული.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სპეციალური სივრცის არარსებობა სასამართლოს შენობის სიძველითა და მოუხერხებელი ინფრასტრუქტურითაა გამოწვეული. თელავის რაიონული სასამართლოს წარმომადგენლის ინფორმაციით კი მსგავსი საჭიროება არასოდეს დამდგარა.

[167] დაზარალებული ქალი არ ყოფილა.

ყოველივე ეს მიუთითებს, რომ არ არის გათვალისწინებული მსხვერპლი ქალების გენდერულად სპეციფიკური საჭიროებები, რაც ბარიერს ქმნის მართლმსაჯულებაზე წვდომის კუთხით, ვინაიდან შეიძლება ამის გამო ქალმა თავი შეიკავოს მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისგან.

2.6. სასამართლო დარბაზების ინფრასტრუქტურული მოწყობა

მონიტორინგის ობიექტი იყო სასამართლო დარბაზებში არსებული გარემოც. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო სხდომის დარბაზებს, ძირითადად, ერთგვაროვანი აგებულება და მოწყობა აქვთ. ნიშანდობლივია, რომ მოწმეებისთვის ჩვენების მისაცემად უმეტესად მოწყობილია შესაბამისი ტრიბუნები და დაზარალებულს, ხშირ შემთხვევაში, ფაქტობრივად, მთელი დაკითხვის განმავლობაში ფეხზე დგომა უწევს.

გარდა ამისა, ტრიბუნების გამო არ არსებობს ინფრასტრუქტურული შესაძლებლობა დაკითხვის მიმდინარეობისას დაზარალებულის სიახლოვეს იმყოფებოდნენ მხარდამჭერი პირები, კონკრეტულად, ადვოკატები ან/და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები.[168] ამას ემატება ის გარემოებაც, რომ არის დარბაზები, სადაც პატარა სივრცე არ იძლევა დაკითხვის დროს დაზარალებულების ბრალდებულებისგან საკმარისად დისტანცირების შესაძლებლობას.

მონიტორინგის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ხშირად დარბაზებში არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათება და განიავება, ხოლო ხელოვნური განიავების სისტემა ძირითადად კონდიცირებით არის უზრუნველყოფილი. ეს ყველაფერი კი შეიძლება შეფასდეს სტრესის დამატებით მასტიმულირებელ ფაქტორად და გარემოდ, რომელიც არ არის კეთილგანწყობილი დაზარალებული ქალისთვის.

[168] გამონაკლისად უნდა მიეთითოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვისთვის მოწყობილი დარბაზები, მაგალითად, №1 დარბაზი თბილისის საქალაქო სასამართლოში.

დასკვნა

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესწავლამ გამოავლინა ცალკეული შეუსაბამობები. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლი ქალის დაშინების, მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლისა და მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის მიზნით დაკითხვის დისტანციურად ჩატარების ან დაკითხვის დროს ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესაძლებლობას; არცერთ საგამონაკლისო შემთხვევაში უზრუნველყოფილი არ არის დანაშაულის მსხვერპლი სრულწლოვანი ქალების სამართლებრივი დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე.

უშუალოდ ძალადობის მსხვერპლი ქალების დაკითხვის პროცესების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები ძალადობის მსხვერპლ ქალებს არ აწვდიან ან/და არასრულად აწვდიან ინფორმაციას მათი უფლება-მოვალეობების, მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დამცავი და მხარდამჭერი მექანიზმების, ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების) და იქ არსებული მომსახურებების/სერვისების თაობაზე. დაკითხვის პროცესებში, ერთეული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, არ მონაწილეობენ მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორები და ადვოკატები. ასევე, ერთეული საგამონაკლისო შემთხვევის გარდა, არ გამოყენებულა ან განხილულა ისეთი დამცავი მექანიზმები, როგორიც დაზარალებულის დაკითხვის დროს ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან გაყვანა და დაკითხვის დახურულ სხდომაზე წარმოებაა.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მხარეთა დამოკიდებულებები და მიდგომები ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ. მოსამართლეები და პროკურორები დაზარალებულის მიმართ გამოირჩეოდნენ გულისხმიერი დამოკიდებულებით, გარდა გამოვლენილი ერთეული არაეთიკური შემთხვევებისა. მეორეული ვიქტიმიზაციის რისკებს უფრო მეტად დაკითხვის პროცესში უშუალოდ ბრალდებულებისა და მათი დამცველი ადვოკატების ჩართულობა ქმნიდა. ბრალდებულების დასმული შეკითხვები ან გამოხატული პოზიცია, ხშირ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იყო. ასევე, ცალკეული დაკითხვების დროს, ბრალდებულის ადვოკატები დაზარალებულებს უსვამდნენ არარელევანტურ, საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან შეუსაბამო შეკითხვას. ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ადვოკატის კითხვები/შეფასებები/რეპლიკები მიმართული იყო

დაზარალებულის დისკრედიტაციისკენ, ატარებდა შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ ხასიათს. ასევე გამოვლინდა ბრალდებულის ადვოკატების მიერ დამადანაშაულებელი შინაარსის შეკითხვების დასმის ფაქტები.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს დღევანდელი ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის მორგებული ძალადობის მსხვერპლი ქალების საჭიროებებზე და ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს. სასამართლოებში არ არის უზრუნველყოფილი გარემო, სადაც შესაძლებელი იქნება ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის/მისი ნათესავის/ახლობლის/მეგობრის ფიზიკური თუ ვერბალური კომუნიკაციის თავიდან არიდება. კერძოდ, სასამართლოებში არ არის მოწყობილი სპეციალური იზოლირებული მოსაცდელი სივრცეები ძალადობრივი დანაშაულის დაზარალებულებისთვის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის/ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალებისთვის; არ არსებობს სასამართლოს შენობაში და სხდომის დარბაზში იზოლირებული შესასვლელი, ხოლო ალტერნატიული შესასვლელით და სივრცით სარგებლობის პრაქტიკული შესაძლებლობა ბუნდოვანია შესაბამისი შიდა რეგულირების/წესის არარსებობის გამო; უზრუნველყოფილი არ არის სივრცითი ინფრასტრუქტურა დაკითხვის დისტანციურად საწარმოებლად; ასევე, არ არსებობს სპეციალური სივრცე, სადაც მცირეწლოვანი ბავშვის დედები თავისუფლად შეძლებენ შვილების ძუძუთი გამოკვებას ან გამოცვლას.

რეკომენდაციები

<u>საქართველოს პარლამენტს:</u>

- „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-40 და 58-ე მუხლებში საკანონმდებლო ცვლილებების გზით, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის (ოჯახური დანაშაულის) დაზარალებულ ქალზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მაქსიმალურად შესამცირებლად ან/და მისი მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად, შესაძლებელი გახდეს, კონკრეტული საფუძვლის მითითებით, მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით, ბრალდების მხარის შუამდგომლობის ან/და დაზარალებულის მიმართვის საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემის დროს ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანის ან სხვა ალტერნატიული ზომის გამოყენების თაობაზე
- „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში შევიდეს ცვლილება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის (ოჯახური დანაშაულის) სრულწლოვანი დაზარალებულისათვის უფასო იურიდიული დახმარება, მიუხედავად მსხვერპლის გადახდისუნარიანობისა, თუ მან ზოგადი წესით არ აირჩია ადვოკატი.

<u>საქართველოს უზენაეს სასამართლოს</u>

- საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები გადამზადდნენ ოჯახში ძალადობის/ოჯახური დანაშაულის დაზარალებულის ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვაზე ორიენტირებული გარემოს შექმნისა და უშუალოდ დაკითხვის მიმდინარეობის დროს დაზარალებულის მატრავმირებელი, დამადანაშაულებელი და დისკრიმინაციული ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციისგან ეფექტიანად დაცვის მიზნით

- ძალადობის მსხვერპლი ქალის მოძალადესთან ან/და მისი ოჯახის წევრებთან/ნათესავებთან საფრთხის შემცველი კომუნიკაციის თავიდან ასაცილებლად, ახალი სასამართლო შენობები აღიჭურვოს, ხოლო ძველი ინფრასტრუქტურა გადაიხედოს/ადაპტირდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო მოსაცდელი სივრცეები და სასამართლო სხდომის დარბაზში მოსახვედრი ალტერნატიული შესასვლელები
- სასამართლოს მანდატურის სამსახურისთვის შეიქმნას სახელმძღვანელო დოკუმენტი/სპეციალური ოპერაციული პროცედურები ძალადობის მსხვერპლი ქალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე როგორც სასამართლოს შენობაში, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე
- სასამართლოს შენობებში უზრუნველყოფილი იყოს დაზარალებულის დისტანციურად დაკითხვისთვის აუცილებელი სივრცე, რომელიც აღჭურვილი იქნება გამართული ტექნიკური ინფრასტრუქტურით
- მოსამართლეებისთვის შეიქმნას სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც გაიწერება და უზრუნველყოფილი იქნება, რომ:
  - მოსამართლეებმა სრულყოფილად და გასაგებად (არასამართლებრივი ტერმინოლოგიით) განუმარტონ დაზარალებულებს კანონით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის, სასამართლო სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვის თაობაზე, დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ და ა.შ.
  - მოსამართლეებმა დაზარალებულს მიაწოდონ ინფორმაცია სახელმწიფოში არსებული ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ
  - მოსამართლეებმა ყველა შემთხვევაში საფუძვლიანად გამოიკვლიონ, დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზი არის თუ არა მოწმის იძულება/ზემოქმედება. ასევე, დაზარალებულს განუმარტონ, რომ მათ მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიუხედავად, ბრალდებული შეიძლება გამტყუნდეს დანაშაულის ჩადენაში, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე
  - მოსამართლეებმა ყველა შემთხვევაში, მათ შორის, დაკითხვის პროცესში, როდესაც რომელიმე მონაწილე დაზარალებულის მიმართ ავლენს დისკრიმინაციულ, სტერეოტიპულ ან/და არაეთიკურ დამოკიდებულებას, მოუწოდონ არასათანადო ქცევის შეწყვეტის შესახებ, ხოლო მოწოდებისადმი

დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ასეთი ქცევის მქონე სუბიექტი/სუბიექტები გაიყვანონ (გააძევონ) სასამართლო დარბაზიდან

- „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად, მოსამართლეებმა საკუთარი ინიციატივით, ბრალდების მხარის შუამდგომლობის ან/და დაზარალებულის მიმართვის საფუძველზე, მიიღონ ზომები, რათა საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულმა სასამართლო დარბაზში ჩვენება მისცეს დაუსწრებლად/დისტანციურად ან სავარაუდო მოძალადის სხდომის დარბაზში არყოფნის პირობებში
- სასამართლო პრიორიტეტულად მიუდგეს და არ დაუშვას დაზარალებულის დაკითხვის პროცესის დაგვიანებით დაწყება
- სასამართლოს მანდატურის სამსახურმა, ბრალდების მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს დაზარალებულის სასამართლო შენობასა და სხდომის დარბაზში ალტერნატიული შესასვლელით შეყვანა და დაკითხვის დაწყებამდე დაზარალებულის იზოლირებულ სივრცეში განთავსება.

<u>საქართველოს პროკურატურას:</u>

- პროკურორები გადამზადდნენ საპროკურორო საქმიანობის განხორციელებისას ძალადობის მსხვერპლი ქალების მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვის საკითხებზე, რომელიც მოიცავს სასამართლოს შენობასა და სხდომის დარბაზში დაზარალებულის უსაფრთხოდ შეყვანის, დისტანიციურად ან ბრალდებულის დაუსწრებლად დაკითხვის შესაძლებლობას, დაზარალებულის მიმართ არარელევანტური/შეურაცხმყოფელი კითხვების დასმის აცილებასა და სხვა.
- რისკების გამოვლენის შემთხვევაში, ბრალდების მხარემ აქტიურად დააყენოს შუამდგომლობა დაკითხვის დისტანციურად ან მოძალადის მონაწილეობის გარეშე ჩატარების თაობაზე
- ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების პრობლემურ საქმეებში პროკურორებმა პრიორიტეტულად ჩართონ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები
- ბრალდების მხარემ აქტიურად დააყენოს შუამდგომლობა დაცვის მხარის მიერ დაზარალებულისთვის დასმული არარელევანტური და მისი ღირსების შემლახველი კითხვების აცილების თაობაზე

- ბრალდების მხარემ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობამდე, ყველა შემთხვევაში შესთავაზოს დაზარალებულს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე 3-დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა
- დაზარალებულის სასამართლოში მიყვანამდე, ბრალდების მხარემ აქტიურად გამოიკვლიოს, დაზარალებულის უსაფრთხოებისთვის საჭიროა თუ არა სპეციალური ზომების მიღება და ამის თაობაზე ითანამშრომლოს სასამართლოსთან.

<u>საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას და იურიდიული დახმარების სამსახურს:</u>

- შესაბამის სასწავლო პროგრამებში აისახოს საადვოკატო ეთიკის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით რელევანტური და მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლ ქალებთან ურთიერთობის კუთხით
- ადვოკატები სისტემატურად გადამზადდნენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, მათ შორის, მსხვერპლის ქცევის ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე
- ადვოკატების ქცევა ძალადობის მსხვერპლი ქალების მიმართ ეთიკური იყოს. დაცვის მხარის სტრატეგიის ფორმირებისას ადვოკატებმა გაითვალისწინონ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული საერთაშორისო სტანდარტები, რაც, მათ შორის, დაზარალებულის დისკრედიტაციის აკრძალვას გულისხმობს.